ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქციის ადრესი: ორბელიანის ქუჩა 6.

რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება **სამშაბათობით და შაბათობით** 11—2 საათ., კანტორა ღიაა ყოველ დღე. დაწვრილებითი ცნობები მე-4 გვერდზე იხილეთ

ცალკე ნომერი ორი შაური

# ნობათი

დღისით და ღამით მოყმენი
იობათსა არ დასცდებიან...
შოთა რუსთაველი

შინაარსი:

1) ტფილისი.
2) ფიქრები სახელმწიფოს შესახებ. ი. ნაკაშიძისა.
3) კანონი. Bâton-ისა
4) ფელეტონი მუშათა მოძრაობის ისტორიიდან. კ. ო-სა.
5) დიალექტიკა. შ. გ-სი.
6) მეტ-ფასი და უტოპიზმი. ვ. ჩერქეზიშვილისა.
7) ქრონიკა.
8) ფოსტა.

№ 7 კვირა 7 მაისი 1906 წ. № 7

## 7 მაისი

უწმინდესი ლოზუნგი რუსეთის სოციალურ რევოლიუციისა – მიწა და თავისუფლება, რომელსაც ძლიერ კარგად იცნობდა რუსეთის ახალგაზრდობა 63 წელს, რომლითაც ამ ახალგაზრდობამ ხალხს მიმართა მე-70 და მე-80 წლებში,— ეს ლოზუნგი იყო პირველი ზახილი შეერთებისა, რომელმაც მოიცვა მიდამონი პირველი რუსეთის პარლამენტისა.

„მიწა და თავისუფლება“ გაიხადეს თავის დევიზად ამორჩეულმა გლეხებმა და მუშებმა, რომელთაც შეადგინეს ერთი პარლამენტარული ჯგუფი შრომისა.

ჩვენ დიდად მოხარული ვართ, რომ რევოლიუციის დევიზი გადააქციეს ხალხის საყოველთაო დროშად, მაგრამ ჩვენ ძლიერ გვეშინია, რომ განხორციელება ხალხის ხანგრძლივ მისწრაფებათა ზოგიერთთ შესაძლებელი ეგონებათ პარლამენტარულ სიტყვებით, შეიძლება ძლიერ ცხარე რევოლიუციონურ სიტყვებით, მაგრამ მაინც სიტყვათა რახარუხითა და კანონმდებლობა-რეგლამენტაციებით.

არსად და არასოდეს ხალხის მისწრაფებათა განხორციელება არ მომხდარა თვით აღმდგარ ხალხის რევოლიუციონურ მოქმედების გარეშე. არც ერთს კანონმდებლობით კრებას, თვით დიდებულ კონვენტს დიდის რევოლიუციისას არ დაუკანონებია არაფერი იმისთანა, რაიცა თვით ხალხის მიერ არ ყოფილიყოს უკვე აღსრულებული.

სათავად-აზნაურო პრივილეგიები და კსტიური გრადაციები მოსპობილ იქნენ მას შემდეგ, როდესაც უკვე აღმდგარმა გლეხობამ იაკობინელებისა და პარლამენტის დაუკითხავად გადასწვა ფეოდალების კოშკები და ბერების სენაკები, გადასწვა აგრეთვე ყველა[illegible]ის დოკუმენტები და ხარტიები, რომელნიც ამტკიცებდნენ მათ პრივილეგიებს.

ამისდა მსგავსად დეკლარაცია ადამიანის უფლებათა და სხვადასხვა რევოლიუციონური და განმათავისუფლებელი აქტები კონვენტისა ყოველთვის იყვნენ მიღებულნი მაშინ, როდესაც პარიზის რევოლიუციონურმა კომმუნამ და მისმა სექციებმა, რომლებიც შემდგარნი იყვნენ გაბატონებულ ხალხისაგან, გარე შემოარტყეს კონვენტი, შეცვივდენ ხოლმე სხდომის დარბაზში და იძულებულ ჰყვეს კონვენტი გამხდარიყო მათი ნების განმახორციელებელი.

აგრეთვე ინგლისში, ყოველივე კანონმდებლობითი ზომა ხალხის სასარგებლოდ აღმდგარ ხალხის მიერ იყო ძალით აღებული, და ეხლაც მშვიდობიანი ინგლისის პარლამენტარიზმი იმითი დახასიათდება, რომ პარლამენტი და დეპუტატები კი არ იღებენ თავზედ საქმეთა ანიციატივას, არამედ თვით აღელვებული საზოგადოებრივი აზრი, აღელვებული მუშათა მასსა; კარგი ხანი არ არის, რომ ჩემბერლენი, ყოვლად ძლიერი მინისტრი, გამოვიდა სამინისტროდან, რომ გამოეწვია აგიტაცია და აეღელვებინა საზოგადოებრივი აზრი, აეძულებინა პარლამენტი შემოეღო მფარველობითი ტარიფები. რუსის კონსტიტუციაც რუსის აღელვებულმა სინიდისმა, რუსეთის ხალხმა აშოვნა საშინელი სისხლის ღვრით, დაუსრულებელი ბრძოლით, რომელიც გათავდა 15 ოქტომბრის საზოგადო გაფიცვით.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პარლამენტარულ ლეგალიზმის ქადაგება, რომელმაც მოსწამლა დემოკრატია და შერყვნა სოციალიზმი გერმანიაში, უარ-ყოფილ იქმნება, და რუსეთის სოციალისტური და ხალხის უფლებათა დამცველნი არ დაივიწყებენ, რომ ხალხი ანხორციელებს თავის მისწრაფებათა მხოლოდ თავისი ძალითა და მოქმედებით და იარაღით ხელში ბრძოლით.

არც რესპუბლიკები, არც პროლეტარიატის დიქტატურა, არც კონსტიტუტიუციური მონარხიები, არაფერს არ უთმობდნენ ხალხს უბრძოლველად.

იქ, სადაც მარტო პარლამენტარული ლიგგალიზმია, როგორც გერმანიაშია, არც ერთი ხალხის სასარგებლო რეფორმა არ განხორციელებული.

* *
*

მიწას და თავისუფლებას, რომელიც დევიზად გაიხადეს გლეხთა და მუშათა დეპუტატებმა, მხოლოდ მთელი ხალხი იშოვნის. ეს განხორციელებული იქნება მხოლოდ თვით ხალხის ბრძოლით და მისი საკუთარი ინიციატივით. ამას განახორციელებს ხალხი მხოლოდ მაშინ, როდესაც თვითოეულ სოფელში, როდესაც დიდი ქალაქის თვითოეულ უბანში მოწყობილ იქნებიან საკუთარი, ავტონომიური დამოუკიდებელი რევოლიუციონური კომიტეტები, შეკავშირებული თავისუფალ ბრძოლისთვის ერთი დიდი დევიზით: თავისუფლება ყველასთვის! მიწა, მიწის მუშას, ყველა საწარმოვო საშუალებანი მუშათა ორგანიზაციებს. თუ სათათბიროს მჭევრმეტყველური სიტყვებით გაბრიყვებული გლეხობა და მუშები არ განაგრძობენ დაწყებულ განმათავისუფლებელ სოციალურ ბრძოლას, დიდი დევიზი ხალხისა დარჩება მშრალ და მკვდარ ფორმულად. დაე ახსოვდეს სოციალურ განთავისუფლების ყოველ მოტრფიალეს, რომ დიდი რევოლიუცია საფრანგეთში მოახდინეს არა ორატორებმა და კომიტეტებმა, არა იაკობინელებმა, არა მონტანიარებმა, არა დანტონმა, მარატმა და რობესპიერმა, არამედ ხალხმა, თვით მაშინდელმა თითქმის წერა-კითხვის უცოდინარო საფრანგეთის გლეხობამ და ვინც ამას ეჭვის თვალით უყურებს, ჩვენ მათ მოვაგონებთ შესანიშნავ ისტორიკოსის შლოსსერის სიტყვებს: „როდესაც მე დავეკითხე კონვენტის წევრს აბბატ გრეგუარს, როგორ იქნა, რომ იაკობინელთა კლუბი პარიზიდან მთელ რევოლიუციას განაგებდა, მოხუცმა შემდეგი პასუხი მომცა: არ ყოფილა არც ერთი სოფელი, სადაც არ ყოფილიყოს საკუთარი დანტონი, მარატა და რობესპიერიო“. აი ამ უცნობმა ადგილობრივმა მომქმედმა ხალხმა მოახდინა დიადი საქმე საფრანგეთის განახლებისა.

მსგავსად მთელი რუსეთისა და კერძოდ ჩვენი განახლებისა და აღორძინების საქმე მხოლოდ ხალხის თვითმოქმედების ნაყოფი იქმნება.

---

## ფიქრები სახელმწიფოს შესახებ

—

ადამიანი უმრავლესად მეტის პატივისცემით ეკიდება თავის ხუთ გრძნობას, ესე იგი თვალთა ხედვას, ყურთა სმენას, ყნოსვას, შეხებასა და გემოვნებას, ვიდრე თავის გონებას. ეს კარგად ესმით სახელმწიფო წესწყობილების გამგეთ და ამიტომაც ისინი დიდის გულ-მოდგინებით ცდილობენ ადამიანის ამ ხუთ გრძნობას აამონ და ამ დროს გონება დაუბრმავონ.

აიღეთ რომელიც გსურთ სახელმწიფო დაწესებულება, თხემით ტერფამდე თვალი მოავლეთ. ავირჩიოთ მაგალითად ტფილისის სასამართლო, რამდენიმე ხანს შევჩერდეთ მის წინაშე და იმის ვითარებას დავუკვირდეთ. ვეება, ლამაზად და დიდებულად მოწყობილი შენობაა. მთელი იმისი გარეგნობა განგება იმ განზრახვითაა შეზავებული, რომ ადამიანის თვალთახედვა დიადი სანახაობით გაიტაცოს და იმის გონებას თავზარი დასცეს და გააბრუოს იმ ყალბი აზრით, რომ დიდებული შენობა დიადი აზრის შემცველია, რომ თვითეული დაწესებულება სრული იმისი სხეულით სისქე-სიმაღლით გაიზომება,

საშუალო გონების პატრონთ სჯერათ ყველა ეს, და დიდის მოკრძალებით შედიან სასამართლოს კარებში, რადგან ეს შენობა დიდ და სასარგებლო დაწესებულებად მიაჩნიათ

შესვლისათანავე უკვე გარეგანი სანახაობით გამობრუნებულ ადამიანს შინაგანი წყობილება კვერს დაჰკრავს და კიდევ უფრო მაგრად იგდებს თავის ბრჭყალებში ადამიანის გონებას. შენობა შიგნითაც დიდებული ფუსფუსითაა აღსავსე. მაღალ, ფართო კიბეზე მიდი-მოდის ზოგი დინჯად დაფიქრებულნი, ზოგიც ერთ-ურთ შორის კრძალვით მოსაუბრენი. შენობა რაღაც ყრუ, ზარ-დამცემი გუგუნითაა სავსე, რომელიც თითქო წინასწარ განზრახულია სახელმწიფოს გამგეთაგან, რათა ადამიანის ყურთა სმენასაც მეხი დასცეს და სასამართლო დაწესებულება დიდებულ რამედ აჩვენოს,

რა უნდა ჰქნას იმ კაცმა, რომელსაც არც შეძლება, არც მოცალეობა არა აქვს იმდენი, რომ ამ შენობაში მოქცეულ დაწესებულებას გულ-ღვძლი გაუშინჯოს, იმისი ყალბი ფუქსავატობა აღმოაჩინოს და ქვეყანას აჩვენოს? იმან სხვებს, უფროსებს უნდა დაუჯეროს, ესე იგი იმათ, რომელთაც ეს დაწესებულება შექმნეს და იმის არსებობას ხელს უწყობენ თავის საკეთილდღეოდ.

სასამართლოს ტრფიალნი, რასაკვირველია, გარეგნულ მსჯელობას, წვრილმანობას დაიწამებენ, რადგან სასამართლოს შინაგან აზრს არ ვეხები ჯერ-ჯერობით, ამასაც თავისი ჯერი დაუდგება. მანამდის კი უნდა ვიცოდეთ, რომ არავითარი მოვლენა არ ჩნდება უმიზეზოდ და უგანზრახვოდ ამ წუთი-სოფელში. ის, რაც წვრილმანად ეჩვენება ზოგ ადამიანს, დიდად ეშმაკურ განზრახვის შემცველი საგანია ხოლმე.

როცა ადამიანს შინაგანი ღირსება არა აქვს, იგი ყოველთვის გარეგნული ღირსებით იმოსება, მოყვასთაგან პატივისცემის მოსაპოვებლად. თვითეულ დაწესებულებაზედაც ეს ითქმის. იმისი გარეგნული დიდება ყოველთვის შინაგანი ფუქსავატობის ნიშანია.

**„Вотъ человѣкъ при жизни поставившій надъ собой крестъ!“.** (აი კაცი, რომელმაც სიცოცხლეში თავი დაიმარხა და გულსე ჯვარი დაისვაო!)—სთქვა ერთმა ჩემმა მეგობარმა, როცა მისკენ მომავალი გულზე ჯვარ-ჩამოკიდებული ვიღაც ადამიანი დაინახა. ბრძნული სიტყვებია ეს სიტყვები. მართლაც ამ გარეგნულ ღირსებას გულ-ღვიძლი რომ გავუშინჯოთ, არ შეიძლება იმისი სიყალბე არ აღმოვაჩინოთ.

ჯვარი ქრისტეს ჯვარცმის მოგონებაა, გვეუბნებიან. ჯვარზე აცვეს ის, ვინც კაცთ-მოყვარეობას შესწირა თავი, არა თუ მეგობრის, არამედ მტრის სიყვარულსაც ასწავლიდა ადამიანს და დღეს ჯვარს აძლევენ იმას, ვინც ომში სხვებზე უფრო გულადად ჰხოცავდა თავის მტრებს. რას იტყვის ქრისტე, ჩვენ თვალთა წინაშე რომ გამოცხადდეს და ჯვარით დაჯილდოებული მეომარი დაინახოს?

ჩვენ სასამართლოს რომ დავუბრუნდეთ, აქაც დავინახავთ, რომ ამ დაწესებულების ყველა მოხელე გარედან ოქროთი და ვერცხლითაა მოვარაყებული. არ იფიქროთ, რომ ეს უბრალო გარეგნული ნიშანი იყოს. მოხელეების ოქროს ვარსკვლავები მხოლოდ უფრო გვინათებენ იმ შავ-ბნელ განზრახვას, იმ უკუნეთ ღამეს, რომლითაც მთელი ეს სახელმწიფო დაწესებულებაა გარემოსილი.

აქაც ვარსკვლავები, მეომართა ჯვრებსავით ქრისტიანუ-

ი კაცთა-ხოცვის ჯილდონი არიან. მხოლოდ სასამართლო ულ-და-გულ ბრძოლაში არ ერევა და პირდაპირ არ ჰკლავს ავის მტერს, არამედ ჯერ მიწაზე დაანარცხებს, ხელ-ფეხს ეუკრავს, საპყრობილეში დაამწყვდევს და ნელ ნელა ხრწნის ა ღუპავს თავის მსხვერპლს სულითა და ხორცით, სატუსა-ოს დამპალ კედლებშია და ციმბირის მადნების გაყინულ მა-აროებში.

ყველა ეს სწარმოებს ისეთ დაწესებულებაში, რომელსაც ისტიანული სახელი აქვს დაჩემებული, რომელიც მხოლოდ ვდლების კურთხევის შემდეგ იხსნება და რომლის კედლები ა კუთხეები ქრისტეს ხატებითაა შემკული.

რასაკვირველია, სახელმწიფოს მოხელენი, რომელთაც ქრი-ტიანებად მოაქვთ თავი, არ გაუმხელენ ხალხს, რომ მათეს ხარებაში (თავ 18, მუხლ 21—22) შემდეგი სწერია: „მა-ნ მივიდა იესოსთან პეტრე და სთქვა: უფალო! რამდენჯერ მცოდოს ძმამან და მიუტევო მას? შვიდჯერ?“.

„უთხრა მას იესომ: არა, გეტყვი შენ, არამედ სამოცდა-ო-შვიდჯერ“.

კარგა ხანია სტატისტიკურმა ცნობებმა დაამტკიცა, რომ ტუსაღოები უმთავრესად მცირე ქურდებითაა სავსე, რომელთა მრავლესობამ პირველად იქურდა, ესე იგი ერთჯერ შესცო-ა, და ქრისტიანული სასამართლო მიტევების მაგიერ ათას-ლად უხდის მათ მაგიერს და ამნაირად მოსეს კანონს აჰარ-ებს.—თვალი-თვალისა წილ და კბილი კბილისა წილო,— ცირე რამ ნივ ის მტაცებელს სიცოცხლეს სტაცებს, რადგან ტუსაღო თავისუფლების, ესე იგი სიცოცხლის უმთავრესი ნაარსის მძარცველია, და ამავე დროს პირველად ქურდო-ს ჩამდენს ზნეობას უხრწნის, ძველ ქურდებთან ამწყვდევს, რომელნიც, რასაკვირველია, სასიკეთოს არაფერს არ ასწავლიან რველად შემცოდე ტუსაღს.

ექვი არ არის, რომ სასამართლოს ვექილები ამიჯანყდე-ან, წუნს დამდებენ იმისთვის, რომ მათ ღირსებას არ ვეხე-, კეთილად არ ვიხსენიებ დაჩაგრულ ადამიანთა დამცველთ. რგად სთქვა ამ ვექილებზე ერთმა სატირიკოსმა:

**Обладаютъ даромъ слова,**
**Но не скажутъ даромъ слова.**

როგორც ლეშის გარშემო მონავარდე ჭრელი პეპლები რ დაუბრუნებენ იმას გამქრალ სიცოცხლეს, ისე სასამართ-ოებზე მისეული ვექილები სულს ვერ შთაბერავენ ამ დაწე-ბულების მკვდარ სხეულს.

ვის წინაშე და რა საშუალებით იცავენ ვექილები დაჩა-რულ ხალხს?

ისინი, ვინც სასამართლოს სავარძლებში სხედან და დი-ებული სახის ღმეჭით იკვლევენ დამნაშავის საქმეს, ბედნიერ რსკვლავ ქვეშ არიან დაბადებულნი, უფრო შეძლებულთა რეს ეკუთვნიან, ისეთ მშობელთაგან იშვნენ, რომელთაც შე-ლება ჰქონდათ მათთვის განათლება მიეცათ, და მაღალ ხა-ისხამდე აეყვანათ ის, ვინც დამნაშავეთა სკამზე ზის, შეუძ-ოთა წრეს ეკუთვნის, ისეთ მშობელთაგან იშვა, რომელნიც ვითონაც სიღარიბეში აღიზარდნენ და შვილსაც სიღარიბე-ი ზრდიდნენ, განათლება ვერ მისცეს, რასაკვირველია; და ღალ ხარისხამდე ვერ აიყვანეს: მაშასადამე მსაჯულსა და დამ-შავეს შორის განსხვავება მხოლოდ დაბადებამ, ესე იგი შე-ხვევამ დასდო. მსაჯული რომ დამნაშავეს მშობლისაგან და-ებულიყო, დღეს-იგი იქნებოდა ჩვენ თვალწინ დამნაშავე-ა სკამზე დამჯდარი.

მსაჯულის მშობლები დაბადებიდან ფაქიზადა და წმინდად ზრდიდნენ თავის შვილს, რადგან საამისო შეძლება ჰქონდათ. დამნაშავეს მშობლები კი ტალახში და სიბინძურეში ზრდიდნენ თავის ბალღს, რადგან მეტი გზა არ ჰქონდათ, ეს ახვედრა მათი ბედის უსინათლო ვარსკვლავმა.

მოსამართლის დედ-მამამ სიყრმიდან მოარიდა იგი გაფუჭებულ ამხანაგებს, რადგან, როგორც შეძლებული, შეეძლოთ უფრო ფაქიზ უბნებში ცხოვრება და თავისი ბავშვის ფაქიზ ბავშვებში გარევა. დამნაშავის დედ-მამამ-კი ვერ შესძლო ეს სიღარიბის გამო და ვერ მოარიდა თავისი ბავშვი გახრწნილების ბუნაგებს, რომელნიც, როგორც ყველამ ვიცით, უმთვრესად ღარიბ უბნებში ბუდობენ.

მსაჯულს ასწავლეს ის, რაც დიდებულმა მწერლებმა და ფილოსოფოსებმა მთელ კაცობრიობას უანდერძეს და რაცა საზოგადოების სასტიკმა წყობილებამ შეძლებულთა უბნების საზღვრებში მოათავსა. დამნაშავეს ვერაფერი ვერ ასწავლეს იმისმა მშობლებმა, ძლივს ლუკმა-პურს შოულობდნენ იმის აღსაზრდელად და სწავლა, რასაკვირველია, უცხო ხილი დარჩა იმისთვის.

ბოლოს დამნაშავემ შესცოდა, რაღაც სხვისი ნივთი ჩაიგდო ხელში, თავი ვერ დააღწია პოლიციის კლანჭებს, სახელმწიფო წყობილებამ მაგრად ჩასჭიდა მას თავისი მუხრუჭი და მსაჯული დაუყენა თვალ-წინ მსჯავრის დასადებად. სწორედ სევდა მოგეფინებათ გულს ამ სურათის შემყურეთ. სავარძელში ჩაბძანებული ფრიად ღირსეული და ნასწავლი გვამი, როგორც ეტყობა, ღრმად დარწმუნებულია, რომ იგი სწორედ ამ სერიოზულ საქმისათვისაა სახელმწიფოს მიერ მოწოდებული. მე-კი ამ მეტად პატივცემულ გვამის შუბლზე ყოველთვის შემდეგ წარწერას ვკითხულობ დამნაშავისკენ მიმართულს: „შენ დამნაშავე ხარ იმიტომ, რომ ღარიბ მშობლებისაგან დაიბადე, რომელთაც შეიძლება არ ჰქონდათ შენთვის ჩემსავით განათლება მოეცათ და ჩემსავითვე მაღალ ხარისხამდე აეყვანე; დამნაშავე ხარ იმიტომ, რომ სიღარიბეში აღიზარდე, სიბინძურეში იყავ გახვეული და ღარიბ უბნის კლანჭებს ვერ დააღწიე თავი; ადმნაშავე ხარ იმიტომ, რომ ჩემსავით ფაქიზად ვერ შეინახე თავი, სიღარიბისაგან გაფუჭებულ ამხანაგებს ჩაუვარდი ხელში, რომელთაც ცუდი მაგალითი გაჩვენეს და ქურდობა გასწავლეს; დამნაშავე ხარ იმიტომ; რომ ჩემსავით შეძლება არ გქონდა უნივერსიტეტში შესულიყავი და იქ გესწავლა ის, რაც დიდებულმა მწერლებმა და ფილოსოფოსებმა ჩემთან ერთად შენც გიანდერძეს; ყველაზე უფრო-კი დამნაშავე ხარ იმიტომ, რომ ჩვენ სახ ლმწიფო მოხელეებს და საზოგადოებას მყუდროება გვწყურია და კეთილდღეობა გვშია და შენ, უშნო ლანდივით, გვეჩხირები თვალში და გვირღვევ ამ მყუდროებასა და კეთილდღეობას.

ერთი სიტყვით, ის სახელმწიფო, რომლის ერთ უმძლავრეს კლანჭთაგანს წარმოადგენს სასამართლო, იმასვე ეუბნება ბრალდებულს, რაც კრილოვის არაკში მგელმა კრავს უთხრა: დამნაშავე ხარ იმიტომ, რომ მე გაუმაძღარი ვარ და შენი შეჭმა მინდაო.

რას შვრებიან ამ დროს სასამართლოს ფრიად ნასწავლი ვექილები? ისინი კრინტსაც არ დასძრავენ იმის შესახებ, რომ მსაჯულს, შეძლებულ კაცს, არავითარი უფლება არა აქვს განასამართლოს დამნაშავე, რადგან იმის დანაშაულში თვითონ მონაწილეა, უფრო შეღავათიან პირობებში აღიზარდა, ესე იგი საერთო ტაბლაზე უპირველეს ადგილთაგანი დაიჭირა და ამით ხელი შეუწყო იმ გარემოებას, რომ დამნაშავე მშრალზე იქნა დატოვებული.

ვექილები სიტყვასაც არ იტყვიან იმის თაობაზე, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ ყველანი, სახელწოდებით განათლებულნი, მსაჯულებად კი არ უნდა დავუდგეთ დამნაშავეთ, წინააღმდეგ ჩვენ თვითონა ვართ დამნაშავენი მათ წინაშე, რომ ცხოვრების ასპარეზზე უპირველესი ადგილები ვიკუთვნეთ და ჩვენ ღარიბ ძმებზე მხოლოდ მაშინ ვზრუნავთ, როცა ისინი მცირე რამ დანაშაულს ჩაიდენენ და ჩვენი თანაგრძნობით აღორძინებულ სახელმწიფო დაწესებულებას სასამართლოს ჩაუვარდებიან კლანჭებში. ვზრუნავთ ისე, რასაკვირველია, რომ ეგრედ წოდებულ კანონ ქვეშ ამოფარებულნი, ჩვენ საკუთარ თავს ვექომაგებით და ვესარჩლებით, ვიცავთ ვითომ და ღრმა მნიშვნელოვან ჩვენ მიერ და ჩვენდა სასარგებლოდ შექმნილ კანონებს, ესე იგი თეთრ ქაღალდზე დაბეჭდილ შავ ასოებს, და ვღუპავთ ჩვენ ძმას, ცხოვრებისაგან ისედაც დაჩაგრულ ცოცხალ ადამიანს.

ბერლინში ერთხელ იურისტ ვექილების ბრწყინვალე კრებას დავესწარი. ლექციას კითხულობდა სისხლის სამართალში გამოჩენილი მეცნიერი ლეისტი. იგი ეხებოდა მაშინ ახლად გამოცემულ ლ. ნ. ტოლსტოის წიგნს, რომან „აღდგომას“. მკითხველებმა უწყის, რომ ტოლსტოიმ მოგვითხრო თავად ნეხლიუდოვის ამბავი, რომელსაც ბრმა ბედმა, ესე იგი საზოგადოების უსინათლო წყობილებამ, არგუნა ნაფიცი მსაჯულობა. ამავე წყობილების მეოხებით დამნაშავე ქალი, რომლის შესახებ მსჯავრი უნდა დაედო თავად ნეხლიუდოვს, მისგანვე გაუპატიურებული და შემდეგ ცხოვრების ტალღებით გატაცებული და დაღუპული როსკიპი ქალი აღმოჩნდა—ეკატერინე მასლოვა. ტოლსტოის რომანში სასამართლოს მთელი უწმინდური გულ-ღვიძლია გადაშლილი. ტოლსტოიმ სასტიკად და ღირსეულად განასამართლა ეს სახელმწიფო დაწესებულება და თავად ნეხლიუდოვის სახით დაგვანახვა, რომ ყველა, ვინც ამ თავადსავით მსაჯულობას ჩემულობს, არა დამნაშავეს, არამედ თავისსავე მსხვერპლს სჯის და ჰღუპავს; ტოლსტოის რომანი ნამდვილ ამბავზეა აგებული. სწორედ ასეთი შემთხვევა მოხდა ქ. პეტერბურგის სასამართლოში. მსაჯული დამნაშავე ქალის დამღუპველი გამოდგა. ეს ამბავი გადასცა ტოლსტოის სახელგანთქმულმა იურისტმა სენატორმა ა. კონიმ.

ტოლსტოიმ ცოცხლად დაგვიხატა თვალწინ სასამართლოს მკვდარი, სასტიკი წყობილება. უგუნურთ, რომელთა რიცხვი საკმაოა ყველგან, ყალბად გაიგეს ტოლსტოის აზრი, ვერ შეიგნეს, რომ იგი საზოგადოდ სასამართლოს უარ-მყოფელია, როგორც ქრისტიანი—ანარქისტი, ესე იგი ქრისტეს მოძღვრების თანახმად მთავრობის და იმის დაწესებულებათა უარმყოფელი.

„ვინც უცოდველია თქვენ შორის, პირველად იმან ესროლოს ქვა ამ დედაკაცსაო“,—უთხრა ქრისტემ იმ ვერაგ ადამიანებს, რომლებმაც როსკიპი ქალი მოიყვანეს იმის თვალწინ და ჰკითხეს ქრისტეს, როგორ უნდა მოვეპყრათ ამ ქალსაო?

ქრისტეს ხატების ქვეშ დაბძანებულნი და ქრისტიანად სახელ-წოდებული მსაჯულები კი სხვანაირად სჯიან. იმ წყობილების მიერ დაჩაგრულთ, რომელშიაც თვითონ მონაწილენი არიან, სასჯელს ადებენ, ჰქოლავენ და ჰღუპავენ.

ღაღად ჰყვეს უგუნურთა და სთქვეს, ტოლსტოი თავის რომანით ამტკიცებს, რომ ჩვენი სასამართლოს ცვლილება, რეფორმაა საჭიროო. ამ საბრალოებმა დაივიწყეს, რომ

„არ გათეთრდების ყორანი,
რაც უნდა ხეხო ქვიშითა“.

სახელ-განთქმული ბერლინელი მეცნიერი სასამართლოს იცავდა, რასაკვირველია, ისეთი ეშმაკური, ლამაზად მიხვეულ-მოხვეული სიტყვებით, რომ გამოუცდელ კაცს ეგონებოდა, ტოლსტოი სცდება, ქრისტიანობა და მართლ-მსაჯულობა ნამ.

# ფ ე ლ ე ტ ო ნ ი

## მუშათა მოძრაობის ისტორიიდან

### წინასიტყვაობა.

ყოველი ახალი იდეალი თავდა პირველად დევნილია. ყოველი ახალი იდეა თავდაპირველად „უსაბუთო და უმომავლო იდეიად არის გამოცხადებული. „საქმის კაცები“, „პოზიტივისტები“მეცნიერების სახლით მას სამასხროდ იგდებენ. ახალი მისწრაფება, ახალი იდეალი, ახალ ჰორიზონტის პოვნა აზროვნებისათვის—ყოველთვის, როგორც ამტკიცებს მთელი კაცობრიობის ისტორია—საქმე იყო მოწინავე უმცირესობისა. ყოველ ახალს დასაწყისი აქვს, როგორც ყოველ ძველს ბოლო აქვს. ყოველი ახალის დასაწყისი ძველის უარყოფაა. ძველი ახალს ყოველთვის ებრძვის და ახალიც ხან ჩუმის, მაგრამ დაუღალავის შრომით, ხან კი ცეცხლითა და მახვილით თრგუნავს, იმორჩილებს ან ანადგურებს ცეცხლითა და მახვილით გამეფებულ და ცეცხლითა და მახვილითვე მომქმედ სარეაქციო ძალას წარსულისას. უუდიდესი მტერი კაცობრიობის პროგრესიულ სვლისა—რუტინაა. რუტინა თავისუფალ აზროვნობის და, მაშასადამე, დამოუკიდებელ მოქმედების ჯალათია. რუტინა ჰქმნის წინსვლის საწინააღმდეგო ძალას, ის ასულდგმულებს რეაქციას და მის ავაზაკურ რაზმებს აძლევს დანას ხელში თავისუფლების დასაკლავად. რუტინასთან ბრძოლა **მარტო** გონებრივის ძალით შეუძლებელია, **რუტინა მატერიალური ძალაა, რომელიც უნდა უარჰყოს ახალმა არა მარტო გონებრივის ძალით, არამედ მატერიალურ კრიტიკითაც.** მატერიალურ კრიტიკის მომამზადებელი მოქმედება ორის იარაღით შეიძლება: საქმით და სიტყვით. სიტყვა საქმედ იქცევის, საქმე სიტყვას აძლევს დასაბამს და ერთად შეერთებულნი სიტყვა და საქმე მომავლისა მუდმივ ებრძვიან სიტყვასა და საქმეს წარსულის შავ-ძალთა, რომელნიც აგრეთვე სიტყვითა და საქმით ებრძვიან მომავალს. წარსულის სარეაქციო შავ-ძალათა თა[illegible] და თ:ნის მუდმივ უარყოფით გზა ეხსნება მომავლის შემო[illegible] ქმედ სარევოლიუციო ძალთა მოქმედებას. მოქმედებაში შობი[illegible] ლი სიტყვაც ძალაა, რადგან ის, ამ შემთხვევაში მოქმედები[illegible] კომენტარია, ფილოსოფია, ახსნა ან დაფასებაა. ყოველი წარ[illegible] სული სოქმედების ცოდნა, გაგება და მიხვედრა ახალის მო[illegible] ქმედებისათვის მომზადებაა. ყოველი მომზადება მოქმედების[illegible] თვის საქმედ იქცევის, ყოველი საქმე ახალი საქმის მომზად[illegible] ბელ სიტყვასა შობს. სიტყვა (თეორია) საქმედ იქცევის, სა[illegible] მე (პრაკტიკა) სიტყვასა შობს. ფუჭია სიტყვა, თუ იგი საქმ[illegible] შ:რდების და მკვდარ არ საქმე, თუ იგი სიტყვით (აზროვნ[illegible] ბით, თეორიით) არ ხელმძღვანელობს. კარგად შეგნებუ[illegible] წარსულის ელემენტებისაგან შეიქმნის მომავალიო, ამბობ[illegible] სენ სიმონი. ეს დიდი ჭეშმარიტებაა. წარსულის კარგი ცოდ[illegible] მომავალში შეცდომების თავიდან აშორების შეძლებას გვაძლევ[illegible] წარსულისკენ მხოლოდ მისთვის უნდა გავიხედოთ, რომ [illegible] მ:მავლისათვის გამოვიყენოთ.

I

„ძველ საერთაშორისო ამხანაგობის სული, შემქნელი პ[illegible] რიზის კომუნისა, გაცოცხლდა. მან იჩინა თავი საერთო [illegible] ფიცვებში... ოცდა თორმეტ წელიწადს უნაყოფოდ არ ჩა[illegible]

ბიბლიოთეკა

დვილი მკვიდრი ძმები ყოფილანო. ორატორი მშვენიერის მიხვრა-მოხვრით და ბევრად—ასულის ენა-წყლიანობით იყო ბუნების მიერ დაჯილდოებული და ძველი საბერძნეთის ეგრედ წოდებულ სოფისტებს მოგაგონებდა. ამ სოფისტების ხელობა იყო გარედან ჭრელი და შიგნიდან ფუჭი მჭერმეტყველობა. იმათ ყველაფრის შესახებ შეეძლოთ მსჯელობის გაბმა. თავისს საკუთარი რწმენა არ ჰქონდათ და ამიტომ დაუსრულებელი ცვალებადობა დაიდვეს კანონად. ამ საათში რომ ერთ რამეს ამტკიცებდნენ, მეორე საათში სულ წინააღმდეგი აზრის დამტკიცება შეეძლოთ და ამავე დროს ლამაზ სიტყვების ყვავილებს აყრიდნენ თავის ფშუტურო აზრებს.

პროფესსორიც ამ სოფისტებსავით ირჯებოდა და რადგან სერიოზული და მკაცრი საგანი ჰქონდა სასაუბროდ ამორჩეული, სერიოზული და მკაცრი გამომეტყველება დაიჩნია სახეზე. პირველად, კათედრაზე რომ ავიდა და ლაპარაკი დაიწყო, შორს განაპყრო მარჯვენა ხელი და აღალო ბაგენი თვისნი. პალატა ხალხით იყო სავსე. ორატორი თითქო ვერავის ვერ ხედავდა: დამსწრეთ ზევარდმო გადაავლო თვალი და ზალის ერთ შორეულ კუთხეს მიაშტერდა; თითქო იქ თავისი იერიშის მიზანს—ლევ ტოლსტოისა და იმის რომანის აჩრდილებს სჭვრეტდა. საუბრის დროს პროფესსორი ყოველ წუთს ყოჩალად და მოხდენილად იზნიქებოდა უკან, თითქო საბრალო ტოლსტოისათვის ცხარე ისრის სატყორცნელად: და გაისვრიდა რა სიტყვიერ ისარს, წელში იმართებოდა და გამარჯვებით თვალს ავლებდა მის წინაშე მრავლად თავ-მოყრილ საზოგადოებას, თითქო მისგან ქება-დიდებასა და შეფრფინვას ელოდებოდა.

მეცნიერი ამტკიცებდა, რასაკვირველია, რომ ტოლსტოი სცდება და „უყურადღებოდ ეკიდება მეცნიერებას, იმ დროს, როცა მეცნიერება ყურადღებით ეკიდება მას, ტოლსტოის.“

ნუ თუ მეცნიერების ამ ყვინჩილასაგან უნდა [illegible] რამე ტოლსტოიმ? ვიფიქრე გულში.

პროფესსორი ამტკიცებდა, რომ სასამართლო არა თავის თავს, არამედ საზოგადოებას იცავს ბოროტ კაცებისაგან, ამიტომ სამართლიანად და ქრისტიანულად იქცევაო. პროფესსორის მჭერმეტყველობის ქორფა ვარდებში ვერაგული განზრახვის გესლიანი გველი იმალებოდა. და ჩვეულებისამებრ დამსწრეთა მხოლოდ უმცირესმა ნაწილმა შეუტყო ეს პროფესსორს, როგორც შემდეგ კამათის დროს აღმოჩნდა.

პროფესსორის სახით ჩემ თვალ-წინ იდგა ყალბი და მავნე მეცნიერებით აღჭურვილი სახელმწიფო წესწყობილების ერთგული დარაჯი.

იმას კარგად შეგნებული ჰქონდა ის ჩვენდა სამწუხარო ჭეშმარიტება, რომ ადამიანთა უმრავლესობა ძველ ნატკეპნ გზას რჩეობს ცხოვრებაში. დღეს სასამართლო ვითომ და აშორებს საზოგადოებას მავნე პირებს კანონის ძალით, აღკვეცს ხოლმე იმათ ჩვენი ცხოვრების სარბიელიდან და ჩვენ კმაყოფილნი ვართ ამით, პატივის-ცემით ვეკიდებით იმ დაწესებულებას, რომელმაც ეს თავ-სატეხი, „სახლაფორთო“ საქმე მოგვაშორა და თვითონ იკისრა დამნაშავეთა გასამართლება.

ამასობაში ჩვენ, რასაკვირველია, მრავალ წვრილმან შინაურ საქმეებს ვუნდებით, ისედაც ბევრი თავ-სამტვრევი გაჭირვება გვადგია კარზე და ქურდ-ბაცაცებისა და ავაზაკებისათვის არ გვცალია, რასაკვირველია. როგორ არ უნდა ვუმადლოდეთ დიდებულ ბერლინელ მეცნიერთან ერთად იმ ღმობიერ სახელმწიფო წყობილებას, რომელიც ჩვენ მძიმე საოჯახო მდგომარეობაში შევიდა და, მეტი ბარგის მოშორებით, გაჭირვება შეგვიმსუბუქა.

---

ლია, განსაკუთრებით ლათინთა ქვეყნებში. ყველგან იღვიძებს კომუნისტური მოძრაობა“ *). აგრე სწერდა ერთი ჩვენი ამხანაგთაგანი, რომელიც აგერ 30 წელიწადია თვალსაჩინო მონაწილეობას იღებს საერთაშორისო სოციალისტურ მოძრაობაში. მართლაც, ყველა, ვინც კი თუნდ ერთი წამით განთავისუფლდება რუტინის ბრჭყალებისაგან, ცრუმორწმუნეობისაგან, რომელსაც თანამედროვე სახელმწიფოებრივი პარტიები ახვევენ თავზე მათ გავლენის ქვეშ მყოფთ, და ისე გაითვალისწინებს თანამედროვე მუშათა მასსის ცხოვრებას და მოქმედებას, დარწმუნდება, რომ მუშათა მოძრაობის ისტორიაში ამ ჟამად სარევოლიუციო მოქმედების ხანა დადგა. ევროპას რევოლიუცია დასტრიალებს თავზე და კომუნიზმის მოჩვენება მოსვენებას არ აძლევს. გაითვალისწინეთ მდგომარეობა თანამედროვე მუშათა მოძრაობისა, შეადარეთ ის იმას, რაც იყო ამ 15—20 წ. წინად და თქვენთვის ყოველ ეჭვს გარეშე იქნება, რომ ყველგან დასავლეთ ევროპაში ხელახლად იბადება (возрождается) **მუშათა** სარევოლიუციო მოძრაობა. ყველგან თვით **მუშათა ორგანიზაებში** ხდება ღრმა პროცესი, რომელიც გარდაქმნის და ანახლებს მას. ეს ღრმა პროცესი, რომელიც თვით მუშათა ორგანიზაციებში ხდება, შენიშნული არ იყო ამ ბოლო დრომდის. ამ ბოლო დრომდის ინტელიგენცია, გატაცებული სოციალ-დემოკრატთა საინტელიგენციო სოციალიზმით, ვერ ამჩნევდა თუ როგორ დაჰკარგა მუშამ ნდობა სალაპარაკო დარბაზისა—პარლამენტისა და როგორ ლაუბრუნდა გამოცდილ სარევოლიუციო გზას მოქმედებისას და ორგანიზაციისას. მხოლოდ ამ უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში, როცა ეს ყველასათვის ცხადი შეიქნა, შენიშნა სოციალდემოკრატიულმა ინტელიგენციამ, რომ ძალამ, მოქმედებამ და მისწრაფებამ მუშათა კლასისამ ახალი სახე და მიმართულება მიიღო, ე. ი. ის ხელახლად დაადგა სარევოლიუციო სოციალიზმის და, მაშასადამე, სარევოლიუციო მოქმედების გზას. ამ ახალ მოძრაობის ინიციატორი ის პარიზი გახდა, რომელსაც არა ერთხელ და ორჯელ გაჭირვების დროს უკისრნია მუშათა მოძრაობის განახლების ინიციატივა. ისტორია ამ განახლებულ მოძრაობისა სავსეა საგულისხმო ფაქტებით, გაკვეთილებით, რომელთა შესწავლა და გათვალისწინება ერთი უდიდესი საშუალებაა მომავალში ნაყოფიერ შრომისათვის. განვიხილოთ ის მოკლედ.

*
* *

როცა მუშათა განახლებულ მოძრაობაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ სახეში გვაქვს ის მოძრაობა, რომელიც დაწყებულ იქნა მუშათა კავშირების, სინდიკატების მიერ და რომელსაც ხელმძღვანელობას უწევენ ეს სინდიკატები და ამისათვის ეწოდა სინდიკალიზმი ანუ სარევოლიუციო სინდიკალური მოძრაობა. თავის თავად ცხადია, რომ ეტიმოლოგიური მნიშვნელობა სიტყვა სინდიკალიზმისა აღარ ეთანხმება ღრმა და ფართო მნიშვნელობას, რომელიც ეძლევა ამ სიტყვას, ამ სიტყვით აღნიშნულ ახალგაზდა, მაგრამ უკვე ძლიერ მოძრაობის მომხრეთაგან. სინდიკალიზმი არ არის რაიმე ახალი ფორმა სოციალიზმისა, ის სოციალიზმის ახალ სკოლას არ წარმოადგენს, ის ახალი მსოფლ-მხედველობა არ არის. ის მხოლოდ ახალი ფორმაა ორგანიზაციის და მოქმედებისა იმ უცვლელ და მუ-

*) წერილი 3. კ—ნისა 1871 წ. 18 მარტს სახსენებლად მიტინგის გამმართველთადმი ლონდონი. 1900 წ.

სახელმწიფოს გამგეთ კარგად ესმისთ, რომ იმათ თვით-ეულ ერთგულ ქვეშევრდომს მყუდროება სწყურია და მის-თვის ყველაზე უტკბეს ამ მყუდროების დაცვა იდვა თავის თავზე, ამით შეაცდინა, თვალთა ხედვის ისარი გაუბრუნდა, გონება გაურყვნა და დაიმონავა საბრალო ადამიანი.

ყველამ კარგად ვიცით, რომ საროსკიპოს პატრონები, სხვათა-შორის, თავისი დაწესებულების მყუდრო და ლამაზი მოკაზმულობით იტყუებენ ქალებს, უზრუნველ-ჰყოფენ მათ რჩენასა და ჩაცმა-დახურვას და ამ დროს ხრწნიან და ჰლუპა-ვენ საბრალო არსებათ სულითა და ხორცით.

სახელმწიფოს ტრფიალთა გონებაც ცბიერს მყუდრო-ობით მიზიდული და გახრწნილ-გაუპატიურებულია დღევანდე-ლის წესსყობილების გამგეთა მეოხებით.

რაცა ერთ ჩემ ნაცნობს სამხედრო სამსახურში შესვლა ურჩიეს მეგობრებმა, ოო, უპასუხა თავის მრჩეველთ: „მირჩევნია ჩემის საკუთარის სურვილით ჩავკრა ცხვირ-პირში ჩემ საკუთარ მტერს, ვიდრე სხვების ბრძანებით ვეომო ამ სხვების მტრებსაო. მკითხველს იქნება ეჩოთიროს პირველ შეხედვით თვითქო ტლან-ქი სიტყვებით გამოთქმული ჭეშმარიტება. ჩემ ნაცნობს იმისი თქმა კი არ უნდოდა, რომ თავისი პირადი მტრების ცხვირ-პირის დამსხვრევა სწყურია. იგი იმდენად ბოროტი კაცი არ არის, მას მხოლოდ თავისუფალი მოქმედება ენატრება. სრული დამოუკიდებლობა უნდა, ისეთი მდგომარეობა, როცა იმისა და იმისი პირადი მტრის შორის გარეშე კაცი, „ჰკა მაგას, სსს-ი ს“ დამძახებელი და მიმსევი არა დგას. მართლაც ბევრად უმჯობესია ადამიანმა პირდაპირ იქონიოს დამოკიდებულება თა-ვის მტრებთან, ვიდრე ბრმა მორჩილებით სხვის ბრძანებას ეს-მინოს და მოერიოს ვითომ და თავის, ნამდვილად კი ამ სხვის მტრებს. როდესაც საქმეს პირდაპირ დაიჭერ ადამიანთან, ვინც

უნდა იყოს აგი, არ შეიძლება, რომ არ დაუკვირდე ამ ადამი-
ანის ვითარებას. არ შეიძლება გონება არ-[illegible] და არ
იფიქრო იმის შესახებ, თუ რად გადაგე[illegible] გერჩი
შენ ეს კაცი, არის თუ არა რაიმე გზა და საშუალება, რომ
მორიგებით გაათავო მასთან საქმე. არ შეიძლება არ იფიქ
რო პირადი მტრის შესახებ ადამიანმა, თუ საკუთრად მას რა
დანაშაულობა მიუძღვის ამ მტრის წინაშე, რა შესცოდა ის
თი და რა გზა უნდა აირჩიოს შემდეგში, რათა ამგვარი შე
დომები აიცილოს თავიდან. ერთი სიტყვით მტერთან დამოკი
დებულობა ამ გვარად გახდება ადამიანის თავისუფალ, დამო
უკიდებელ საქმედ: ეს გარემოება უეჭველად იმის გონებას ავა
რჯიშებს, სიმკვეთრეს შესძენს, ასწავლის სწორ და ნამდვილ
გზას ყველა მტრობის სათავესთან მიმავალს, გაუმხელს საზო
გადო წყობილების დღეს მისთვის იდუმალ ჩარხებს, რომელთ
მეოხებით ჩნდება მტრობა, ქურდობა და ავაზაკობა (აცთ
შორის და ასწავლის იმ გზას, რომლის შემწეობით ყველა ამი
მოსპობა და ადამიანის ნამდვილი წარმატება შესაძლებელ
გახდება.

პროფესორმა კრინტიც არ დასძრა, რასაკვირველია, იმი
შესახებ, რომ კანონმა და სამართალმა სრულებით ვერ გაას
წორა, არამედ უფრო გარყვნა ადამიანი, რომ ამავე დრო
სასჯელი არავის არ აშინებს, რადგან, სტატისტიკამ, მეცნი
რთაგან შეკრებილმა ცნობებმა დაამტკიცა, რომ ყოველ წელ
ერთნაირი რიცხვია ხოლმე სხვა-და-სხვა ბოროტმოქმედებათა
რაიცა სულაც იმას არ ნიშნავს, რომ სასამართლო და კანონ
ბოროტების მკურნალი იყოს. იგი მხოლოდ თვალს უხვევ
საზოგადოებას, ბოროტ-მომქმედთაგან გიცავო, „მავნე მუწუკებს
ვაშორებ საზოგადოებრივ წყობილებასო“. წლიდან-წლამდე ბო
როტ-მოქმედებათა რიცხვის განმეორება იმას ნიშნავს მხოლოდ

---

დმივ ერთობა-თავისუფლების ნიადაგზე მისწრაფებისა, რომე-ლიც ახასიათებს მუშათა მოძრაობის ისტორიას. ეს ფორმა დამახასიათებელია მუშათა მოძრაობის ისტორიულ მდგომარე-ობისა და ესაბამება იმ მომენტს, როცა მუშა ჰკარგავს ნდო-ბას მისი კლასის გარეშე მდგომარე მხსნელ ძალათადმი, ე. ი. როცა მას თავის თავზე გადააქვს ყოველი იმედი, როცა ის რწმუნდება, რომ მხოლოდ მასშია მისი განმათავისუფლებელი ძალა, როცა ის გრძნობს თავის დავაჟკაცების ხანის მოახლო-ვებას. რა კი მუშათა კლასმა სახელმწიფოებრივ პარტიების ნდობა დაჰკარგა, იმას მათი პოლიტიკაც მოღალატისებურ მატყუარ პოლიტიკად ეჩვენა. მან იგრძნო, რომ როგორც თავის მდგომარეობის თანდათანი გაუმჯობესებისათვის, ისე თავის იდეალის სრულ განხორციელებისათვის არავის იმედი არ უნდა იქონიოს და მხოლოდ თავის ძალის შეგნებულ ხმა-რებას უნდა დაემყაროს. ამ შეგნების შედეგი იყო, რომ ის მიუბრუნდა ძველ და მუდმივ ახალ ჭეშმარიტებას: „მუშათა განთავისუფლება საქმეა თვით მუშათა კლასისა“. ეს ჭეშმარი-ტება ნახულ იყო თვით მუშათა კლასის-მიერ და ის, ყოველ ეჭვს გარეშეა, არ ასცდებოდა მას, თუ არ მაცდური გავლენა სხვა და სხვა სახელმწიფოებრივ პარტიების პოლიტიკანთა. თანამედროვე სინდიკალიზმი არის სრული განხორციელება ცხოვრებაში ზემო აღნიშნულ ჭეშმარიტებისა. ამისათვის ჩვენ შეგვიძლიან განვიხილოთ ის, როგორც ცდა მუშათა კლასის აქტიურ თვითმოქმედებისა.

მაშასადამე, სინდიკალიზმი არ არის ქმნილება ამა თუ იმ კერძო პირისა. ის არის შედეგი იმ ძველ და გრძელ ისტო-რიულ გამოცდილებისა, რომელიც თვით მუშათა კლასმა გა-

მოიარა. რაკი მუშათა კლასი იზრდება და ვაჟკაცდება შეგნ
ბულობით, რაკი სოციალური და პოლიტიკური გამოცდილ
ება მას შეძლებას აძლევს თავის საკუთარის ძალ-ღონით გა
იკაფოს გზა ცხოვრებაში, რაკი ის თავის-თავს სოციალურ
პროცესის სრულ წლოვან მონაწილეთ სცნობს, მასში სრულ
იად ბუნებრივად თავს იჩენს სურვილი პოლიტიკურ პარტიებ
საგან განცალკევებისა და ეს იმისათვის, რომ პოლიტიკურ
პარტიები თავის არიეულ, ჭრელის შემადგენლობის მეოხები
უძლურნი გამოდგნენ პროლეტარულ მოძრაობის გაერთიანებ
საქმეში. სანამ მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობა არა მუ
შათა, ე. ი. პოლიტიკურ ორგანიზაციათა ხელში იყო, არ იქნ
და არ მოხერხდა გაერთიანება მუშათა მოძრაობის ფორმის
და მიზნისა. ამის შედეგი კი ის არის, რომ იქ, სადაც მუშა
თა მოძრაობის ხელმძღვანელობა პოლიტიკანთა ხელშია, მა
ნამდვილი კლასიური ხასიათიც ვერ მიიღო. მაგრამ როც
მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელობა გადადის თვით მუშათ
და მათ კლასიურ ორგანიზაციათა ხელში, გაერთიანება ფორ
მის და მიზნის მხრივ მუშათა მოძრაობისა შესაძლებელი ხდ
ბა, რადგან მუშები გრძნობენ, რომ მათთვის სრულიად საჭირ
არ არის პოლიტიკურ პარტიებში ნაწილ-ნაწილად დაქსაქსვა
რომ ისინი **როგორც კლასი** ბუნებრივად წარმოადგენენ სა
ზღვრებს მუშათა კლასის ერთ და განუყოფელ პარტიისათვის
თუ რომ დაკვირვებით განვიხილავთ ამ უკანასკნელ 30 წლი
ისტორიას, დავრწმუნდებით, რომ მუშათა კლასი დიდის თან
დათანობით ესწრაფოდა ამ მიზნის განხორციელებას. უკანას
კნელ 30 წლის ისტორიას მუშათა მოძრაობისას ახასიათებ
ცდა დამოუკიდებელ და კლასიურ ორგანიზაციის შექმნის

რომ სნეულება საზოგადოების წყობილების სიღრმეშია დაბუდებული და რომ გარედან „მუწუკების ალკვეცა“ მხოლოდ ბოროტის განზრახვით საქმის გადაფუჩეჩება და ცბიერი მეცნიერობაა და სხვა არასაფერი.

პროფესსორმა არაფერი არ სთქვა რასაკვირკელია იმის შესახებ, რომ სახელმწიფო, რომელმაც დამნაშავეთა განსამართლება იკისრა, აშკარად მცირე ქურდები დაჩაგრა, რომელთა რიცხვი ყველაზე მეტია დამნაშავეთა შორის, ამ დროს კი დიდ ქურდებს ხელი დააფარა, რადგან პაწია ქურდები დიდრონებს ხელს უშლიან და თვალში ეჩხირებიან. რამდენია სახელმწიფო წყობილებაში ისეთი თანამდებობა, რომელიც მხოლოდ კანონით ცნობილ დიდ ქურდობას წარმოადგენს. დაუსრულებელია სხა-და-სხვა ეგრედ წოდებულ „კომისიები და პოდკომისიები“ მოხელეებისა, რომელთათვის შესამუშავებლად გადაცემული საქმეები ბევრი გვსმენია, შემუშავებული და სასიკეთოდ დასრულებული კი არაფერი. რასაკვირველია სახელმწიფო მართვა-გამგეობის სათავეში მდგომარენი თავისიანებს თბილ ადგილებს აძლევენ, რადგან ხელი ხელსა ჰბანსო,—გაგვიგონია.

მოხელეების, მუქთა-მჭამლების, ესე იგი ხალხიდან გაძარცულ გადასახადის დაკანონებული ქურდობის მთელი სურათი რომ გადაგვეშალოს თვალ წინ, საპყრობილეში დამწყვდეული მცირე ქურდები სულ არაფრად არ გამოჩნდებიან მათთან შედარებით, ამ დროს მოხელეები ხალხს ატყუებენ რასაკვირველია, ჩვენ საჭირონი ვართ, რათა მცირე ქურდებისაგან დაგიცვათო და ეგრედ წოდებულ კანონ ქვეშ ამოფარებულნი დიდ ქურდობას სჩადიან.

ბერლინელი ფრიად ღირსეული პროფესსორი და მისთანანი ამ დიდ ქურდობას მეცნიერების შარავანდედით ჰმოსავენ, რათა ხალხი დააბრმავონ და სახელმწიფოს წყობილების გესლით მოწამლონ, დაჩაგრონ და დაიმორჩილონ [illegible].

ი. ნაკაშიძე.

## კ ა ნ ო ნ ი

### IV

(გაგრძელება).

კანონისა და საზოგადოებრიობის შედარება ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ისინი არიან ორი ცნება, რომელთაც არავითარი საერთო საზომი არა აქვსთ. საზოგადოებრიობა ხანგრძლივი საზოგადოებრივ ცხოვრების მიერ შემუშავებული წესია მრავალ ინდივიდთა ბუნებრივ დამოკიდებულებათა ორგანიულ არსთა შორის, მათ ჩვეულებათა, მათ ენერგიათა შეერთების მრავალ ფეროვანი გამოხატულება,—კანონი კი ერთი გაბატონებული კლასსის დესპოტიზმის გამომხატველია. საზოგადოებრიობა წარმოუდგენელი მანძილით არის დაშორებული კანონს. პირველის დასაბამის დრო გამოურკვეველია, კანონი კი ისტორიულად ახალი მოვლენაა საზოგადოებრიობასთან შედარებით, ძირი კი მათი წარმოშობისა სრულიად სხვა და სხვაა. პირველის წარმოშობა სრულიად გადის ისტორიისა და ადამიანის ცხოვრების დროდამ, მეორე პირველისაგან შედარებით სრულიად ახალი მოვლენაა ადამიანის ცხოვრებისა, ისიც არა-ნორმალური ცხოვრებისა.

კანონი მხოლოდ ერთი მომენტია „საზოგადოებრივობისა“, მაგრამ უუსაზიზღრესი მომენტი, რომელსაც არავითარი საერთო არა აქვსრა და სრული წინააღმდეგია ნამდვილ **საზოგადოებრივობისა.** ამიტომაც არ შეიძლება აგრეთვე მათი დაპირდაპირება როგორც ნაწილისა და ერთი მთელისა. მათი დაპირდაპირება ისეთივე აბსურდია, როგორც **სახელმწი-**

---

ცდა მუშათა კლასისა თავისუფლების საქმის თავისავე აქტიურ თვითმოქმედებაზე დამყარებისა არის ცდა ყოველგვარ ვექილთაგან, ყოველ გვარ არამკითხე მხსნელთაგან განთავისუფლებისა. მოკლე ისტორიული მიმოხილვა ნათლად დაგვანახვებს ნათქვამის ჭეშმარიტებას. ძალიან შორს რომ არ წავიდეთ, დავიწყოთ ინტერნაციონალიდან და სანამ მისი კონგრესების და მასში აღნიშნულ ორ, ერთმანეთის მოწინააღმდეგე, მიმართულებას განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია თვით ინტერნაციონალის იდეის მომდინარეობაზე ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა. დიდებული საერთაშორისო კავშირი მუშათა არ იყო ქმნილება ერთის კაცისა (მარქსისა), როგორც განძრახვით, თავის პარტიის მნიშვნელობის გასაზვიადებლად, დღემდის ამბობენ ზოგიერთები. დიდებული კავშირი, რომელშიაც თავი იჩინეს ყველა თანამედროვე სოციალისტურმა სკოლებმა, იყო ქმნილება თვით მუშათა კლასისა. საჭიროება საერთაშორისო ორგანიზაციისა, რომლის მიზნად სხვა და სხვა ქვეყნის მუშების ერთმანეთთან დაკავშირება უნდა გამხდარიყო, ცნობილ იქმნა ყოვლის უმალ საფრანგეთში. ამ იდეის აღმოცენებაზე ცოტა გავლენა არა ჰქონია საფრანგეთის დიდ რევოლიუციის დროს გამოთქმულ აზრებს. ცნობილია, რომ მთელი ევროპის და ქვეყნიერების ერთ სოლიდარულ კაცობრიობაში დაკავშირებას ბევრი მომხრე ჰყავდა დიდი რევოლიუციის დროს. ხალხთა ძმობა, მათ შორის ძმური კავშირის დაარსება და სხვა ასეთი აზრები იქადაგებოდა მაშინ პარიზის ხალხურ ორგანიზაციებში. მაშინდელი ინტერნაციონალიზმი თანამედროვესაგან იმით განირჩევა, რომ მაშინდელს უბრალო ჰუმანიტარული ხასიათი ჰქონდა და მხოლოდ კეთილ-გრძნობაზე იყო დამყარებული, დღევანდელი ინტერნაციონალიზმი კი კლასობრივია, ე. ი. იმის განხორციელების შემძლედ ის კლასია ცნობილი, რომლის ისტორიული მისია იმაში მდგომარეობს, რომ უნდა აღმოფხვრას ძირიანად ყოველი მიზეზი ხალხთა ანტაგონიზმისა და შეჰქმნას ნიადაგი მომავალ სოლიდარულ კაცობრიობის აღმოსაცენებლად. ძველი ინტერნაციონალიზმი გულკეთილთა უბრალო სურვილი იყო, დღევანდელი ინტერნაციონალიზი ისტორიული საჭიროებაა. განსხვავება დიდია, მაგრამ, მიუხდავად ამისა, დიდი რევოლიუციის დროს ხალხთა ძმობაზე გამოთქმულმა აზრებმა თვალსაჩინო აღმზრდელი გავლენა იქონიეს საფრანგეთის პროლეტარიატზე. საფრანგეთშივე ოცდა-ათიან წლებში გამოთქმულ იქნა აზრი საერთაშორისო ორგანიზაციის დაარსების შესახებ, რომლის მიზნად სხვა და სხვა ერების მოწინავე ელემენტების ერთმანეთთან დაახლოვება უნდა გამხდარიყო. იმავე წლებში გამოქვეყნებულ იქნა მანიფესტი ჟ-ნ ბერნარისა, რომელშიაც ნათლად იყო ნაჩვენები სხვა და სხვა ქვეყნის მაშვრალ ხალხის ერთის საერთო ორგანიზაციით დაკავშირების საჭიროება. პირველი პრაქტიკული ცდა საერაშორისო ორგანიზაციის შექმნისა მოხდა ოცდა-ათიან წლებშივე, მეორე — ორმოციან წლების დამლევს. ორმოციან წლებში ორგანიზაციაც იქმნა დაარსებული და იმის პარიზელ კორესპონდენტად პრუდონი იყო, რაც საკმაოდ ახასიათებს ამ ცდას. მართალია, ამ ორ ცდას სრულიად გარკვეული სოციალისტური ხასიათი არა ჰქონდა, მაგრამ ამას აქ მნიშვნელობა არა აქვს, ჩვენ მხოლოდ ვეძებთ დასაბამს იმ იდეიურ მოძრაობისას, რომელმაც საერთაშორისო კავშირის შექმნა გამოიწვია. სრულიად გასაკვირ-

**ფოისა და საზოგადოებისა,** თუმცა ძლიერ ბევრი სცდილობს ეს ორი უკანასკნელი ცნება პირდაპირ იდენტიური გახადოს.

პრინციპი კი საზოგადოებრივობისა და კანონისა სრული წინააღმდეგნი არიან ერთმანეთის და ერთმანეთსა ჰკიცხავენ. თვით საზოგადოება არ არის მექანიკურ შეერთებული სუმმა პიროვნებათა, რომელთაც კანონის მუხრუჭი აქვსთ მოჭერილი და მხოლოდ მექანიკურად არიან ერთმანეთზედ მიწებებული, იმგვარად, რომ თუ ეს მუხრუჭი მოუშვით, მაშინვე დაიშლება ყოველგვარი განწყობილება ამ პიროვნებათა შორის, დაიწყება ურთი-ერთის გლეჯა, თავპირის მტვრევა და სისხლის სმა. ინგლისელ ფილოსოფოსს ჰობსს ადამიანის ბუნება ძირითადად ეგონა რაღაც საძაგელი და ანტისოციალური რამ, ადამიანის საზოგადოება კი, მისი აზრით შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ პირობით, თუ მთელი მასსა ხალხისა ერთ დიდ ჯოგს, და ისიც მხეცთა ჯოგს,—წარმოადგენდა, მას ზემოდ კი უსათუოდ უნდა ყოფილიყო ტლანქი ფიზიკური ძალა, რომელსაც უნდა ემართა და განეწესრიგებია მთელი ცხოვრება ამ საშინელ მხეცთა საზოგადოებისა. ეს იყო ჰობსის რწმენა,—დამყარებული უფრო მისი დროის უმეცრებაზედ, ვიდრე მის პირად გამოკვლევაზედ,—და ამითი აიხსნება მისი განუსაზღვრელი თაყვანისცემა დესპოტიზმისადმი და მთავრობათა სისტიკისადმი, რამაც დიდ მეცნიერ ჰექსლეისაც კი ხელი შეუშალა სიწმინდითა და ფართოდ გაეგო მთელი ღრმა ფილოსოფია დარვინის „არსებობისათვის ბრძოლისა“.

ძლიერ ღრმა, უძველესი და საყოველთაო მოვლენაა საზოგადოება. თანაც კვლავ—ძიებას მისი წარმოშობისას და მისი განვითარებისას შედარებით ეხლა შეუდგენ მეცნიერები. სოციოლოგია ჯერ არ არის დამყარებული „საერთო კანონებზედ“, მას ჰყავს თავისი ერუდისტები, მას ჰყავს თუ გნებავსთ გალილეები, კოპერნიკები და შეიძლება კეპლერებიც, ნიუტონი კი ჯერ არ გამოსჩენია,—და [illegible], რომ დღეს სოციალურ მოვლენებზედ ასე გაბედულად ლაპარაკობს მრავლის უმრავლესი უმეცარი და დილეტტანტი. მაგრამ რაც ცნობილია თანამეროვე მეცნიერების მიერ, ისიც სრულიად საკმარისია, რომ უმეცარი ადამიანის გულიდანაც აღმოფხვრას კანონის კერპის სიყვარული, თუ წარსულისა და აწმყოს ფაქტების ყურადღების მიქცევის სურვილი ექმნება და არა იტყვის ტვინ-გაკავებული დოგმატიკოსივით: „credo quia absurdum“.

პირველი, უძლიერესი და უუთვალსაჩინოესი დამამტკიცებელი სიბუთი საზოგადოებრივობისა და კანონის სხვა და სხვაობისა, აგრეთვე უკანონოდ ცხოვრების სრული შესაძლებლობისა არის ის **ფაქტი,** რომ ადამიანთა საზოგადოება და მასზედ წინად მრავალ ცხოველთა საზოგადოებამ კანონი არ იცოდა, კანონზედ წარმოდგენაც არ ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება კაცთა საზოგადოებაში ისე მარტივიც არ იყო, როგორც ეს ბევრ იაფ-ფასიან სოციოლოგებსა ჰგონიათ.

**საზოგადოება** ისეთი უნივერსალური მოვლენაა, რომ ლანესსანის სიტყვით, მაგალითად, თვით არა-ორგანიული არსნიც არდგენენ მრავალ-გვარ ასსოციაციებს არსებობისათვის ბრძოლაში. პიტალო კლდეებიდან დაწყებული თვით გონიერ ადამიანამდე ამ ურთი-ერთ ძალთა შეერთების წყალობით არსებობენ მრავალ-გვარი და მრავალ-ფეროვანი ინდივიდნი ქვეყანაზედ ამ ორიგინალური მოაზრის წარმოდგენით. აგრეთვე თუ გავსინჯავთ სხვა მეცნიერთა შეხედულებას, თითქმის ყველანი მივიდენ იმ დასკვნამდის, რომ დაწყებული თვით ზეცის უზარ-მაზარ სხეულთა კრებულიდამ პატარა ცხოველის შემა-

---

ველი არ არის, რომ სწორედ ამ დროს აღმოცენდა იდეია მუშათა ინტერნაციონალისა, რადგან სწორედ ამ დროს აღმოხეთქა კაპიტალისტურმა ინტერნაციონალმა. მაშინიზმის საზღვართა დამანგრეველი ძალა, მთელი ქვეყნის კაპიტალისტთა ინტერესის ერთობა თვალსაჩინო გახდა, რამაც თვით მუშებში შეიტანა შეგნება მათის კლასის ინტერესთა ერთობისა მთელ დედა მიწაზე. ამ ნაირად ამ ხანებში შემუშავდა სოციალური და ეკონომიური ნიადაგი მუშათა ინტერნაციონალიზმის აღმოცენებისა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მთელ ამ დროის სოციალისტური ლიტერატურა გაჟღენთილია „ხალხთა ძმობისაკენ“ მისწრაფებით. სხვათა შორის, ამას ისიც ამტკიცებს, რომ 15—20 წლის განმავლობაში სამჯერ შეეცადნენ საერთაშორისო კავშირის დაარსებას. ორი ასეთი ცდა ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რაც შეეხება მესამეს, ეს მოხდა ორმოცდაათიან წლებში ლონდონში. ამ დროს ეს ქალაქი პოლიტიკურ ემიგრაციის ცენტრი იყო. აქ იყო შეყრილი ხალხი საფრანგეთიდან, გერმანიიდანა და იტალიიდან. მათში არსებულ მჭიდრო კავშირსა და დამოკიდებულებას ის შედეგი ჰქონდა, რომ თითქო უხმოდ, ჩუმად და სრულიად ბუნებრივად გრძნობილ იქნა საჭიროება საერთაშორისო ორგანიზაციისა, რომელიც ბუნებრივად განხორციელებულ კავშირს სხვა და სხვა ერის წარმომადგენელთა შორის საქვეყნო პოლიტიკურ ფაქტად გარდაჰქმნიდა. ორგანიზაცია მართლაც დაარსებულ იქმნა და მას მკაფიოდ გამოხატული სოციალისტური ხასიათი ჰქონდა. ამ ინტერნაციონალის დამახასიათებელია, მაგალითად, მანიფესტი, რომელიც მან გამოუშვა მაძინის საპასუხოდ. მაძინი მკაცრად ჰკიცხავდა სოციალიზმს, ხოლო ეს ინტერნაციონალი ენერგიულად იცავდა სოციალიზმის პრინციპებს. ეს მანიფესტი დაბეჭდილია დეჟაკის გაზეთში*) და ხელ მოწერილია მრავალ მაშინდელ კარგად ცნობილ სოციალისტ და სოციალ-დემოკრატთაგან.**) მაგრამ ვერც ამ ორგანიზაციამ იხარა და ეს გასაკვირველიც არ არის. ემიგრაცია მმოძრავი ელემენტია და მასზედ დაარსებული ორგანიზაცია არ შეიძლება შეიქნეს ხანგრძლივ ორგანაზაციად. ეს ორგანიზაციაც დაირღვა, მაგრამ ბევრი იმის წევრთაგანი გახდა შემდეგში წევრად საერთაშორისო კავშირისა.

გადვიაროთ ეხლა თვით ამ კავშირის დაარსებაზედ. ისიც არ შექმნილა უცებ, ერთბაშად, მის დაარსებასაც ისტორია აქვს. 1861 წელს ორფეონისტების დღესასწაულზე თავი მოიყარა 5000 კაცმა ფრანგმა და ინგლისელმა. იქ, რაკი ეს უმთავრესი ნაციის მუშები ერთმანეთს გაეცნენ, გამოთქმულ იქნა ის აზრი, რომ სასურველია მუშები შეხვდნენ ერთმანეთს ხშირად, უფრო დაახლოვებით გაეცნენ ერთმანეთს ერთმანეთის აზრთა და მისწრაფებათა გასაცნობათ. შემდეგ წელში (1862) ლონდონში მსოფლიო გამოფენა იყო. ფრანგ მუშათ ძლიან სურდათ ამ გამოფენაზე წასვლა. ერთი იმისათვის, რომ კიდევ ერთხელ შემთხვევა ჰქონოდათ ინგლისელ მუშათა ნახვისა, და

*) Le Libertaire. № 10 დეჟაკი მუშა იყო. ის თანამედროვე ანარქიზმის ერთ ერთი წინამორბედთაგანია.

**) სოციალ დემოკრატები მაშინც არსებობდენ. თვით სიტყვა სოციალდემოკრატი პრუდონმა შემოიღო ხმარებაში. სოციალდემოკრატებმა ის მიითვისეს და პრუდონი ერთხელაც არ უხსენებიათ. ასეთი ჩვეულება სოციალდემოკრატებისა—ჯერ გაღლეტენ ვინმეს და მერმე გაღლეტილს ტალახში ამოსვრიან.—ვითომ და რა! გაღლეტილისგან რამის სესხებას აღარავინ შეგვწამებსო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დგენელ ცოცხალ უჯრედებამდე და ნივთიერების კიდევ უფრო მარტივ ნაწილებ:მდე ყოველივე ასსოციაციაა ურთი-ერთთან განწყობილებათა მქონე ნაწილთა, რომელთაგანაც თვითეული დამოუკიდებელია მეორისგან, არ ექვემდებარება მას როგორც უმცროსი უფროსს. ამგვარად ის ცრუ-რწმენაც, ვითომც მზე იყოს მთავარი და გამგე სხვა პლანეტითა—ეს რწმუნებაც განქრა და თანამედროვე მეცნიერ ებაში საჭირო აღარ არის ქებათა-ქება ვუგალობოთ უზენაე:ს გეომეტრს, რომელმაც შექმნა იდეალური წესიერება და ერთ დიდ ბრწყინვალე სხეულს, მზეს, სხვა უფრო პატარა სხეულნი **დაუმორჩილა.** განვიხილავთ რა სხვა მრავალგვარ სხეულთა, სხვა მრავალგვარ ინდივიდთა, განსაკუთრებით სიცოცხლის მოვლენას,—თვალ-წინ წარმოგვიდგება ერთი დიადი მოვლენა ინდივიდთა ენერგიების აუცილებელი და თავისუფალი შეერთებისა; ეს მოვლენა უნივერსალურია, მას არ აქვს აგრეთვე არავითარი წინად განსაზღვრული მიზანი; ტელეოლოგიური ელემენტი არ შედის და არც შეიძლება შევიდეს ამ უნივერსალური მოვლენის ახსნაში. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გავარკვიოთ წესი, პრინციპი ამ მრავ ლ ფეროვან მოვლენათა ურთი-ერთთან მსგავსებისა, რომელიც არის შემდეგი: ყოველივე მოძრაობა ხდება ნაკლების დაბრკოლებისაკენ, უმეტესი ძალის მიერ; ანუ—მინიმუმი ენერგიის ხარჯვისა და მაქსიმუმი მუშაობისა, ანუ ცხოველთა და განსაკუთრებით კაცთა საზოგადოებათა შესახებ ეს პრინციპი გამოიხატება შემდეგ ნაირად: მინიმუმი ინდივიდუალური ენერგიის ხარჯვისა და მაქსიმუმი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, ძალთა ეკონომია,—აი რა უდევს საფუძვლად ყოველ ნაირ ასსოციაციას. ადამიანის ძალთა ეკონომია კერძოდ,—აი რა არის თვით ესსენცია საზოგადოესისა,—აუცილებლობა, რომელიც არაშლის საზოგადოებასა და მის მუდმივ მოძრაობას და მას ტენდენციას შეადგენს. *)

თვით სახეთა შენახვის აუცილებლობამ წარმოშობა ასსოციაციები ანდივიდთა შორის, თვით ცხოველთა სახეთა შენახვის აუცილებლობამ წარმოშობა ცხოველთა საზოგადოებანი,—თვით ადამიანის სახის შენახვის აუცილებლობამ წარმოშობა აგრეთვე ადამიანთა საზოგადოება. მისი საფუძველია აგრეთვე უნდივიდუალურ ძალთა კოორდინაცია, მისი ფუნქცია—დაკმაყოფილება ინდივიდთა მოთხოვნილებათა, ხანგრძლივი მუშობითა და ვარჯიშობით შესწავლა იმ საშუალებათა, რომელთა შემწეობითაც ადამიანისა და ბუნებისაგან უნდა გამოვიდეს უმეტესი ძალები ადამიანის უმცირესი ძალის დახარჯვით, როგორც ამბობს ლუი ფავრი.

საერთო დახმარება და არა საერთო ბრძოლა იყო ძირი საზოგადოების წარმოშობისა ცხოველთა და კაცს შორის, ამბობს კროპოტკინი, და მართლაც ზოოლოგია მრავალის ფაქტებით სრულიად ნათელ-ჰყოფს ამ აზრს, რომელიც სხვა სიტყვებით განმეორებაა ზემოხსენებულისა.

ერთი სიტყვით, ქამთა სრბოლაში, ათასნაირ ძალთა

*) დღევანდელი მეცნიერება ამგვარად არის გაჟღენთილი საუკუნეთა-მიერ შემუშავებული ანტროპომორფიული ტერმინებით. ჩვენ ისეთნაირად ვართ მიჩვეული ამ ენაზედ ლაპარაკს, რომ ყოვლად შეუძლებელია, რაკ თუ გინდ წმინდა მეცნიერულ ენაზედ ვილაპარაკოთ, ეს მეტაფიზიკური, ანტროპომორფიული, ტელეოლოგიური ტერმინები არ ვიხმაროთ: ტენდენცია, შეგუება, ეკონომია და სხვ., თითქოს ბუნებას, როგორც ადამიანს (ისიც ჩვენის წარმოდგენით), ჰქონდეს რომელიმე წინადგანსაზღვრული მიზანი ან ტენდენციისა, ან შეგუებისა, ან ეკონომიისა. დარვინიზმმა კიდევ დიდი ასპარეზი დაუტოვა მეტაფიზიკას ბიოლოგიაში. თვით თეორია შეგუებისა და მრავალი სხვა თეორიები მეცნიერულ ბიოლოგიისა მეტაფიზიკური ხასიათისაა.—მხოლოდ ენერგეთიკის წინსვლას შეუძლია ამ ცნებათა განდევნა ბიოლოგიიდან, როგორც მან განსწმინდა თითქმის უკვე ფიზიოლოგია.

---

მათთან მოლაპარაკებისა, რადგან მათ მშვენივრად ესმოდათ მნიშვნელობა პოლიტიკურ და სოციალური სხვა და სხვა ქვეყნის მუშების ერთმანეთთან დაახლოვებისა; მეორედ იმისათვის, რომ მათ უნდოდათ გაცნობოდნენ იქაურ წარმოების პირობებს და თავის საკუთარის თვალით ენახათ, თუ როგორი იყო ინგლისელ მუშების მდგომარეობა. მათი სურვილი აღსრულდა. ამ სურვილის ასრულებას ორმა რამ შეუწყო ხელი: ყოვლის პირველად თვით მუშათა ენერგიულმა მოქმედებამ. რა კი მათ გადასწყვიტეს ლონდონის გამოფენაზე წასვლა, ამ აზრის განსახორციელებლად მთელი აგიტაცია გამოიწვიეს. მეორედ იმან, რომ ნაპოლეონ III ხალხში სახელის განთქმას ეძებდა, პოპულიარობა მისი მუდმივი სურვილი იყო, ცეზარიზმი (სახალხო იმპერატორობა) მისი მუდმივი და უცვლელი მისწრაფება. მუშათა გულის მოსაგებათ მან ლონდონის გამოფენაზე მუშათა დელეგაციის გაგზავნას, ცოტა არ იყოს, ხელი შეუწყო. ასე თუ ისე ფრანგი მუშები გაემგზავრნენ ლონდონისაკენ, სადაც მათ იქაურმა მუშებმა ძმური მასპინძლობა გაუწიეს. ისინი მალე მიუხვდნენ ერთმანეთს გულის წადილს. ერთ და იმავე მძიმე უღლის ქვეშ მცხოვრები სტუმრები და მასპინძლები ერთ და იმავე მისწრაფებით იყვნენ მოცულნი. ენის და სხვა პოლიტიკურ ეტიკეთთა სხვადასხვაობა ხელს არ უშლიდა მათ მიმხვდარიყვენ, რომ მათი ინტერესი, როგორც კლასისა, ერთია, რომელ სახელმწიფოს ქვეშაც უნდა სცხოვრობდენ ისინი, რომ დამმონავებელთა კავშირი სიხელმწიფოებრივ საზღვართა მიუხედავათ, საჭიროთ ჰქმნის დამონავებულთა კავშირს აგრეთვე საზღვართა მიუხედავად. 5 აგვისტოს (1862 წ.) გამართულ მეჯლისზე ეს აზრები დიდის ენტუზიაზმით გამოთქმულ იქნა თვით მუშებისაგან. არა ერთხელ და ორხელ იქნა ნასურვი შექმნა „მთელი ქვეყნის მუშათა კავშირისა“ ადრესში, რომელიც მუშებმა წაუკითხეს ფრანგ მუშებს, ნათქვამი იყო, სხვათა შორის, შემდეგი: „თუმცა მომავალი გვიქადის ჩვენი სურვილების აღსრულებას, მაგრამ ჩვენ მაინც არ უნდა დავივიწყოთ, რომ უბრძოლველად ვერაფერს ვერ გავაკეთებთ... ჩვენ ვფიქრობთ, რომ ერთმანეთის აზრების გაზიარებით უფრო ადვილად მივსწვდებით საზოგადოების საიდუმლოთ. ვიმედოვნებთ, რომ ეხლა, როცა ჩვენ ერთმანეთს ხელი მივეცით, როცა დავინახეთ, რომ ჩვენ **როგორც მოქალაქეთ, როგორც ადამიანთ და როგორც მუშებს, ერთი და იგივე ანტერესი გვაერთებს,** არავის ნებას არ მივცემთ ჩვენი ძმურის კავშირის დარღვევისა. ნებას არ მივცემთ ჩვენის კავშირის დარღვევისას იმათ, ვინც ჩვენს განცალკევებაში სარგებელსა ჰპოვებს და ვიმედოვნებთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობის დასამყარებლად სახსარსაც ვპოვებთ“. ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ, რომელშიაც, ისე ცხადად არის გამოთქმული საჭიროება საერთაშორისო კავშირისა, ფრანგებმა თავიანთ თარჯიმანის—მელვილ კოუერის—შუამავლობით შემდეგი წინადადება წარმოადგინეს: დაარსებულ იქმნას კომიტეტი, რომელსაც მინდობილ ექმნება საერთაშორისო კორესპონდენცია (საკორესპონდენციო ბიურო) და რომელიც მოაწესრიგებს მუშათა შორის ურთიერთობის დამყარების საქმეს. ეს იყო 1862 წელს. აქედან დამყარდა მართლაც მუდმივი ურთიერთობა ფრანგ და ინგლისელ მუშათა შორის.

1863 წელს პოლონეთის აჯანყება სისხლში იქნა ჩახჩობილი, რამაც მთელი მოწინავე ნაწილი კაცობრიობისა აღელ-

მოქმედებას შეუქმნია საზოგადოება მრავალ აზრთა შორის, ათასნაირ ძალთა მოქმედებას შეუქმნია ცხოველთა და ადამიანთა საზოგადოებანი; მათ ამ საზოგადოებაში შეუმუშავებიათ საზოგადოებრივობა, რომელიც სწორედ გამოიხატება ინდივიდუალურ ძალთა ეკონომიაში, მათ შეუმუშავებიათ ათასნაირი სოციალური ჩვეულებანი, ისინი შეკავშირებულ არიან ათასნაირ ძალებთან, ათასნაირ პირობებთან; ადამიანი იმყოფება კოსმოსის, შემოფარგლული წრის, ურაი ერთის გავლენის ქვეშ, იგი გადაბმულია უუბნელეს წარსულთან მილიონი ჯაჭვებით, აწმყოში მას ათასნაირი ძალები სწევენ და ამოძრავებენ, მომავალში მისი მოძრაობა განსაზღვრულ ძალებზედ არის დამოკიდებული, ის და მისი საზოგადოებაც ინტეგრალური ნაწილია მთელი მსოფლიოსი, იგი ფუნქცია ათასნაირ ცვალებად ოდნობათა, ისე როგორც მისი და მისი საზოგადოების ფუნქცია ყოველივე ის, რაც მასში მოქმედების გავლენის ქვეშ სახეს იცვლის, იგი აქტიური და პასიური არსია ერთსა და იგივე დროს, ის და მისი საზოგადოება შედეგია ათასნაირ მოვლენათა კომბინაციისა, აგრეთვე მიზეზი ათასნაირ სხვა მოვლენათა იგი და მისი საზოგადოება ერთ გამოხატულებათაგანი არიან თვით საუკუნო ცხოვრებისა, და რა აქვს საერთო კანონს ან მისს საზოგადოების არსებასთან, ერთს უუსაზიზღრეს და უუმოკლეს მომენტს მის ცხოვრებაში, — კანონს, რომელიც შედარებით სულ ცოტა ხანია რაც შხამავს ცხოვრებას, რომელიც კაცის ძალმომრეობის ნაყოფი იყო და არა ძალთა ეკონომიის პრინციპის შედეგი, — რა აქვს კანონს საერთო საზოგადოებრივობასთან, რომელიც თვით კაცზედ უფრო ძველი მოვლენაა და უნივერსალური?!

ავიღოთ, მაგალითად, ადამიანის მოქმედების უპირველესი და უუსაჭიროესი გამოჩენა, — შრომა, წარმოება. შეკავშირებულია ისტორიულად და ლოგიკურად შრომა, წარმოება და კანონი? — სრულიადაც არა, მათ შორის არავითარი საერთო არა არის-რა.

ჩვენ არც კი ვიცით შრომის წარმოშობის დრო, როგორც არ ვიცით საზოგადოების წარმოშობის დრო. ვიცით მხოლოდ, რომ უკანასკნელი უფრო ძველია პირველზედ, რადგანაც ადამიანმა, უნდა ვიგულისხმოთ აუცილებლად, თავის წინაპარ სოციალურ ცხოველიდან მიიღო ნიჭი საზოგადოებრივობისა, საწარმოო იარაღთა მოგონება, შრომა, წარმოება, კულტურა კი თანამედროვე ადამიანის, ამ ცხოვლის განსაზღვრული სახის შემონაქმედია. მიუხედავად ამისა, არ ვიცით დრო შრომის წარმოშობისა, არ ვიცით არც ერთი კაცის მსგავსი ცხოველი, რომელსაც ჰქონოდეს წარმოების ნიჭი, სამაგიეროდ არ ვიცით არც ერთი ეპოქა, როდესაც ადამიანს არა ჰქონოდეს ეს ნიჭი.

წარმოება, შრომა, ბუნების ძალთა სასარგებლოდ გამოყენება, ინდივიდუალის ენერგიათა შეერთება და საწარმოო ხარჯვა მრავალ ათასწელთა განმავლობაში ინახავდა ადამიანის სახეს განადგურებისაგან, იგი ნაყოფი იყო მისი საზოგადოებრივობისა, შემონაქმედი მისი სოციალური სულისა, — თვით ბუნების ძალთა ფარგალში ტრიალისა, მოქმედებისა და ამ ძალთა გავლენის მიერ შემუშავებული წესი ადამიანის არსებობისათვის ბრძოლისა, — წარმოება და შრომა საზოგადოებაში სწორედ ინდივიდის ძალთა ეკონომიის პრინციპს იცავდა და მისი უზენაესი გამოხატულება იყო, და ამიტომაც არ არის საკვირველი, რომ პირველ-ყოფილ ბუნებრივ საზოგადოებას კომმუნისტური ფორმა ჰქონდა და აქვს ეხლაც მრავალ ველურთა და ბარბიოსთა შორის; კომმუნიზმი კი საუკეთესო შესა-

---

ვა. ყველა სიმპატიას უცხადებდა გმირულ ბრძოლაში დამარცხებულ პოლონეთს და ჰგმობდა რუსეთის იმპერიალიზმის ბარბაროსობას. პოლონეთის მდგომარეობას მოწინავე პროლეტარიატმაც მიაქცია ყურადღება და, რომ მანიფესტაციისათვის უფრო მნიშვნელოვანი ხასიათი მიეცათ, ინგლისის მუშებმა ადრესით მიმართეს საფრანგეთის მუშებს და მოიწვიეს თავის მოკავშირენი, რათა მათ შეეერთებინათ მათი ხმა რუსეთის ბარბაროსობის წინაამდეგ პროტესტის გამოსაცხადებლად. ფრანგებმა ამ ადრესის საპასუხოთ ლონდონში მთელი დელეგაცია გაგზავნეს. ეს დელეგაცია მიღებულ იქნა სახალხო მიტინგზე და სწორედ ფრანგ დელეგატთა მისაღებად გამართულ მიტინგზე, რომელსაც მიზნათ ჰქონდა რუსეთისაგან პოლონეთის დაგლესის გაკიცხვა, დაარსებულ იქნა ფორმალურად ინტერნაციონალი- (1864 წ.) ვამბობთ, ფორმალურად, რადგან ფაქტიურად ის უკვე არსებობდა *). ამ გვარად ის რაც მოხდა 1865 წ. 28 სექტემბერს ისტორიაში ცნობილ სენმარტენ ჰოლის მიტინგზე, სხვა არა იყო რა თუ არ დასკვნა ყველა იმისა რაც წინ წლებში თვით მუშებმა შეჰქმნეს ამ მიზნის მისაღწევად. რეზოლიუცია, რომელიც ამ დაუვიწყარ მიტინგზე იქნა მიღებული ნათელ ჰყოფს ვინ იყო ინიაციატორი დიდებული კავშირისა და ამიტომ მოგვყავს იგი: „კრებამ მიიღო პასუხი ჩვენ ადრესზე ჩვენ ძმებ ფრანგ მუშათაგან. ჩვენ ერთხელ კიდევ მივესალმებით მათ **და რადგან მათმა პროგრამამ ხელი უნდა შეუწყოს მუშათა შეერთებას, ჩვენც ალვიარებთ მას საერთა შორისო კავშირის საძირკვლად**. ამასთანავე ვადგენთ: არჩეულ კომიტეტი, რომელსაც უფლება ექნება სხვა წევრებიც მოიწვიოს და შეიმუშავოს დებულებანი და სტატუტები მომავალი კავშირისათვის.“ *)

* *
*

ყველა ზემო ნათქვამი ნათელ ჰყოფს თუ რამდენად გავრცელებული იყო მაშინ აზრი საერთაშორისო საზოგადოების საჭიროებაზე. ნათქვამი აშკარად ჰყოფს აგრეთვე, რომ საერთა შორისო კავშირი, რომლის ათი წლის არსებამ ისეთი დიდი გავლენა იქონია სოციალისტურ მოძრაობის გაძლიერებაზე და სოციალისტურ სკოლების დიფერენციაციაზე, უცებ კი არ გამოტრყვენილა, არამედ ის მომზადებული იყო რამოდენიმე ცდით და მთელი წლების თანდათანი შრომით მუშათა კლასისა, რაც სრულიად ავიწყდებათ აღმოჩენილ ამერიკის აღმოჩენილ მეცნიერების დონკიხოტებს. ცდა ზოგიერთი სოციალ-დემოკრატისა ინტერნაციონალის შექმნაც მარქს მიაწეროს ამა-

*) იხ. Г. Іеккъ. Интернаціоналъ. стр. 6. ეს ძალიან მიკერძოებით დაწერილი წიგნია, ფაქტებს პარტიის მნიშვნელობის გასაზვიადებლად დიდის სიამოვნებით ამახინჯებს ავტორი, მაგრამ ის იძულებულია ზემოდ ნათქვამი დაამოწმოს. აგრეთვე Гюго и Штегманъ-ის Справочная Книга соціалиста. საზოგადოდ ინტერნაციონალის ისტორიულ მიმოხილვისათვის ორ ნახსენებ წიგნებს გარდა ვსარგებლობთ კიდევ შემდეგის წყაროებით: B. Molon Histoire du Socialisme, ch. Andler—Commentaires de manifeste communiste, J. Guillaume—L'Internacional t. I. Tcherkesoff—Pecurseurs de l' International, O. Testut L'International და L'international au bogne de l'Europe. წერილებით ინტერნაციონალზე პ. კროპოტკინისა Temps Nouveaux'ში და მისივე Memoires d'un Revolutiounaire, მარქსის (მასალა უტინმა, ალექსანდრე III მიერ შესდობილმა უტინმა მიაწოდა) მიერ შედგენილ მოხსენებით ჰააგის კონგრესზე, რომელიც ცნობილია ამ სათაურით L'alliance de la democratie socialiste. ამას გარდა Memoires de la federation jurasienne და სხვ.

*) Г. Іеккъ Интернаціономъ стр. 7.

ფერი წრეა ინდივიდუალურ ძალთა ეკონომიის პრინციპის განსახორციელებლად, რადგანაც პრინციპი: თვითოეულისაგან მის ძალ-ღონეთა მიხედვით—თვითოეულს მის მოთხოვნილებათა მიხედვით,—ფორმულა კომმუნიზმისა,—სრულიად ეთანხმება პრინციპს: მინიმუმი ძალთა ხარჯვისა მაქსიმუმი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისა, — ე. ი. ინდივიდუალურ ძალთა ეკონომიის ფორმულას.

კანონი კი, როგორც არა ვსთქვით, სახელმწიფოსთან ერთად განვითარებული მოვლენაა, შედარებით გუშინდელი. სახელმწიფო, მისი ფუნქცია კანონი და ამ უკანასკნელის აღმსრულებელი სამსჯავრო ლოღიკურად და ისტორიულად ერთარსებანი და განუყოფელი არიან, სრულიად ახალი მოვლენანი ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგინი წარმოსდგენ, როდესაც კომმუნიზმი დაირღვა ათასგვარ მიზეზთა გამო, როდესაც ინდივიდუალურ ძალთა კოორდინაცია კი აღარ დაახასიათებდა საზოგადოებას, ეს უკანასკნელი კი აღარ ასრულებდა თავის ნორმალურ ფუნქციას — ინდივიდუალურ ძალთა ეკონომიის პრინციპის დაცვას,—არამედ როდესაც ერთი კლასსი მეორეზედ გაბატონდა, როდესაც ერთი ჯგუფი ხარჯავდა ენერგიას და თავის დღეში ვერ ივსებდა გარეშე წრიდან დახარჯულ ენერგიას, მეორე კი მთელი სოციალური ენერგიის მუშაობის ნაყოფს ისვავდა და ჰფლანგავდა, თვით კი არა ხარჯავდა საჭირო ენერგიას ყველა პიროვნებათა სასარგებლოდ,—როდესაც ერთი სიტყვით საზოვადოებას შემოესია მისი განმანადგურებელი ანტისოციალური ელემენტი, სახელმწიფომ მოუყარა თავი ადამიანის წარსულის მთელ ტალახს და ამ ტალახის სიბინძურე, სიმყრალე,—დესპოტიზმი და მონობა გამოჰხატა კანონით, რომელიც ცეცხლითა და მახვილით გაჰყავდა ცხოვრებაში ათასნაირ ძალ-მომრეობით დაწესებულებათა შემწეობით და უსირცხვილოდ აღიარა, რომ მხოლოდ ეს კანონია საზოგადოებრივობა და უამისოდ საზოგადოება დაიშლება, ინდივიდები ერთმანეთს დასჭამენო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა აქვსთ საერთო მაშასადამე მთელი კაცობრიობის ორგანიული განვითარების ნაყოფს, საზოგადო შრომას, წარმოებას, რაციონალურ საწარმოო ორგანიზაციას და კანონს, რომელიც პირდაპირ უარ-ყოფაა საზოვადოებრივობის პრინციპისა, მაშასადამე კომმუნიზმისა და წარმოების თავისუფალი, კომმუნისტური მოწყობისა, და პირდაპირი ნაყოფია სწორედ იმ ძალათა მოქმედებისა ადამიანთა მთელ ცხოვრებაში, რომელნიც ხელს უშლიდენ საზოგადოებას, რაც შეიძლება მეტი სიწმინდით აღესრულებინა თავისი ნორმალური ფუნქცია,—იმგვარი ნაყოფი აგრეთვე, რომელიც დროში ძლიერ შეზღუდულია და ერთ წუთიერ მომენტს წარმოადგენს ადამიანთა განუზომელი წარსულისა და მომავლის ცხოვრებაში?—კანონის მოსპობა არა თუ ხელს შეუწყობს წარმოებითი საზოგადოების დაშლას, არამედ პირდაპირ გზას გასწმენდავს იდეალური საზოგადოების მოწყობისათვის, მისი მოსპობა წარღვნით კი არ მოევლინება კაცთა საზოგადოებას, არამედ კაცობრიობისათვის დიდი სადღესასწაულო იქმნება ის დღე, როდესაც დაიწვის ყველა კრებულნი ყველა კანონთა, ათასგვარ იდიოტთა და ჭკვიან მხეცთა მიერ დაწერილი და უცვლელად და შეცვლილად გადმოცემული უბედურ შთამომავლობისათვის!

ავიღოთ სხვა განწყობილებანი ადამიანთა შორის, წარმოებით განწყობილებათა გარდა სხვა ინდივიდუალური განწყობილებანი, განსაკუთრებით იმგვარი ინდივიდუალური განწყობილებანი, რომელთა ფარგალშიაც ძლიერ ხშირად კონფლიქტი ხდება ადამიანთა შორის. განვიხილოთ აგრეთვე,—რა დამოკიდებულება აქვს კანონს ამ კონფლიქტთა გადაწყვე-

---

ოდ ჩაივლის, რადგან ისტორიული სიმართლე აშკარავდება და აიძულებს თვით სოციალ-დემოკრატებსაც სიმართლის გზას დაადგნენ. ვინც ინტერნაციონალის შექმნას, ამ კოლექტიურ ქმნილებას მოწინავე პროლეტარიატისა, ამა თუ იმ კერძო პირსა აწერს, ამტკიცებს, რომ მას არაფერი ესმის სოციალიზმის ღრმა ხალხოსნურ ხასიათისა, რომ არავითარი წარმოდგენა არ აქვს იმაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს ისტორიაში ხალხის შემოქმედებით ძალას. მათ ჰგონიათ, რომ სოციალიზმი არის „აღმოჩენა“, რომელიმე საკაბინეტო უსაქმო „მეცნიერისა“, მათ ჰგონიათ, რომ სოციალისტური მოძრაობა არის ქმნილება ერთ მუჭა „პროფესიონალურ რევოლიუციონერთა“ და რომ მუშათა მოძრაობა სულდგმულდება რამოდენიმე „კაცთ მოყვარე“ მოღვაწისაგან. ასე ჰგონია განსაკუთრებით სოციალ დემოკრატიას. თუმცა ის ტეორეტიულად მოწინააღმდეგეა „პირადობის მნიშვნელობისა ისტორიაში“ (роль личности въ исторіи), მაგრამ პრაქტიკულად ყოველ მოვლენას სოციალისტურ მოძრაობის ისტორიისა, ყოველ ნაბიჯს სოციალიზმისა, ხსნის რომელიმე „გენიალურ“ გერმანელის ისტორიაში „გენიალურ“ ჩარევით; ასე რომ მისგან უარჰყოფა „პირადობის მნიშვნელობისა ისტორიაში“ **გარდაიქმნის პრაქტიკულად ისტორიაში ხალხის შემოქმედობით მნიშვნელობის** უარყოფად და ქება დიდებად სწავლის პრივილეგიის მქონ ერთ მუჭა ინტელიგენტთა, რომელიც ყოვლის შემძლე და ყოვლის გამგე ღმერთის ადგილს იჭერს.

გასაკვირალი არ არის ამისათვის, რომ სოციალ დემოკრატიას სრულიად ავიწყდება მნიშვნელობა ხალხის თვით მოქმედებისა ხალხურ ისტორიის შემოქმედებით პროცესში. საზოგადოთ, სოციალ-დემოკრატიული ისტორია სოციალიზმისა ძალიან წააგავს ბიბლიურ ისტორიას ქვეყნის შექმნასა: „არა რა იყო, კაცობრიობა ბნელეთით იყო მოცული“—ქვეყნიერებას მოევლინა მოციქული და ბრძანა: „იყოს სინათლე“ და სხვებმა „მეცნიერულ სოციალიზმისა“ გაანათლა უტოპიზმის უფსკრულში ჩაფლული კაცობრიობა. სახელითა მარქსისათა ამინ.

ასეთი ღმერთული ჩამომავლობა სოციალ დემოკრატიისა გულ უბრყვილოთ თავბრუს ასხამს და მორწმუნენი შიშით პირქვე ემხობიან. მაგრამ სოციალ დემოკრატები რამოდენიმე საუკუნით შეცდნენ, ეხლა ახალი კატოლიციზმის დამყარება შეუძლებელია. წავიდა ის დრო როცა ღმერთნი ჰქმნიდნენ ისტორიას. ეხლა ადამიანი თვით ჰქმნის თავის ისტორიას, ამისათვის კერძო პირების ქება დიდების მაგიერ საჭიროა თვით ადამიანთა—ხალხის მასსის მოქმედების შესწავლა, გამოკვლევა მისი როლისა სხვა სხვა ისტორიულ მომენტებში. ხალხის ისტორიას ხალხი ჰქმნის და ხალხის განთავისუფლებაც მხოლოდ ხალხს შეუძლია. ინტერნაციონალიც, როგორც უდიდესი და უძლიერესი პროლეტარული ქმნილება XIX საუკუნისა ხალხისაგან იყო შექმნილი. იმის ისტორია კერძო პირების საქებ-სადიდებლად კი არ უნდა იწერებ-დეს, მას ხალხის შემოქმედებითი მოქმედების როლის გამოკვლევა უნდა ჰქონდეს სახეში.

კ. ო.

ტაში, როგორია აქ მისი ხასიათი და ეწინააღმდეგება იგი თუ არა საზოგადოებრივობას.

პირველ-ყოფილ საზოგადოებაში, როდესაც ერთი წევრი საზოგადოებისა მეორე წევრს რამეს დაუშავებდა, ,,საზოგადოებას'' აზრათაც არ მოუვიდოდა **დასჯა** ვნების მომტანისა **დასჯა დასჯისათვის**, როგორც ეს ახასიათებს ეხლა თანამედროვე კანონს, მის აღმასრულებელ სამსჯავროს. პირველ ყოფილ თემებში არსებობდა ჩვეულება შურის ძიებისა, თემობრივი შურის ძიებისა. თუ ერთი თემის წევრი მოჰკლავდა მეორე თემის წევრს, მოკლულის ნათესავი, ან მახლობელი სამაგიეროს გადუხდიდა მკვლელს, ან მის ნათესავს. აქ იყო მაშასადამე პირადი ანგარიში ურთიერთისა, და არა მთელი საზოგადოების მიერ მოწყობილი სასჯელი მანქანა, სამსჯავრო პოლიციითა და ციხეებით. აგრეთვე თუ თემში ვინმე ჩაიდენდა მთელი თემის საწინააღმდეგო საქციელს, იმას ან გააძევებდენ თემიდამ, ან და ჩაჰქოლავდენ ხოლმე. რასაკვირველია, შურის ძიებაცა და ჩაქოლვაც ბარბაროსობა და ველურობაა, მაგრამ ამ ველურ ჩვეულებასაც აქვს თავისი საფუძველი და გარდა ამისა ის გაცილებით უფრო ნაკლები ანტისოციალური მოვლენაა, ვიდრე შემდეგ წარმოშობილი ქრისტიანული ეკლესიისა და რომის უფლების კანონები, რომლებითაც სახელმწიფომ სტანჯა და ახლაც სტანჯავს კაცობრიობას. შურის ძიება პირადი, რომლისგანაც კაცობრიობა თავის დღეში ვერ განთავისუფლდება სხვა და სხვა ფორმით, შეუცდომელი მაინც იყო უმეტეს შემთხვევაში: შურის მაძიებელმა კარგად იცოდა, რისთვისაცა ჰკლავდა მოწინააღმდეგეს, რისთვის აღეწდა მას ცხვირ-პირს, მას არ ეინტერესებოდა მოწინააღმდეგის **დასჯა**, გათახსირება, მთელი საზოგადოებრივი ტალახის გადასხმა მის თავზედ და დამცირება, ზნეობრივი მისი ტანჯვა,—მას ეინტერესებოდა მხოლოდ იმ ექვილიბრიუმის აღდგენა, რომელიც დაარღვია ვნების მამტანმა მათ შორის. შენ მე დამაკელი—მე შენ დაგაკლებ,—კბილი კბილისა წილ, თვალი თვალისა წილ, თანასწორნი ვიყავით და შენ მეტობა მოინდომე ჩემზედ, ჩემი თავისუფლების, ჩემი სიცოცხლის მოსპობა, ჩემი ძალის დაკლება,—მეც სამაგიეროს გადაგიხდი, რომ ისევ სწორად გამოვიდეთ შემდეგში. ასეთი იყო პსიხოლოგია შურის მაძიებელისა. აგრეთვე თემის მიერ შურის ძიება ჯერ ერთი თემის შიგნით დიდი სოლიდარობის მაჩვენებელია თემის წევრთა შორის, პსიხოლოგია კი მისი შურის ძიებისა იგივეა, როგორიც პირადი შურის ძიება. შენ ჩემ თემს დააკელი—მე შენსას დავაკლებ, რომ ისევ შემდეგში თანასწორნი ვიყვეთ.—შურის ძიება კი მთელი თემისა ერთი თავისი წევრის წინააღმდეგ პირდაპირი სურვილი იყო, თავიდან მოეცილებინათ არასასურველი ელემენტი; თემის სურვილი მართლაც საერთო სურვილი იყო, და მიუხედავად მისი ბარბაროსობისა, მაინც ორგანიულად გამოდიოდა „მთელი ხალხის“ სურვილიდან, თუმცა ბარბაროსობით კანონმა გაცილებით გადააჭარბა ყოველ ამგვარ ველურობას თემთა შორის. მაგრამ რაიცა უფრო საგულისხმიეროა ამ შემთხვევაში,—ეს არის ის, რომ შურის ძიება შემთხვევითი მოვლენა იყო, კერძო მოვლენა, ყოველ შემთხვევაში მოქმედობდენ საქმის ვითარების დაგვარად. შურის ძიება დაწესებულება არ იყო მუდმივ მომქმედი,—კანონით დასჯა კი მთელი ინკვიზიციის გამათახსირებელი დაწესებულებაა, წინდაწინვე განსაზღვრული, ამისათვის არჩეული კაცების მიერ, რომელთაც არც პირადი საქმე აქვსთ დასჯილთან, არც საზოგადო ინტერესებს იცავენ,—ისინი არიან სპეციალისტი მწამებელნი და დამსჯელნი განურჩევლად საქმის ცოდნისა და არც ცოდნისა, არც კი უნახავსთ ხან თვალით ადამიანი, და ამიტომ არის ეს დაწესებულება ზნეობრივად გამათახსირებელი მოვლენა, ამიტომ არის ჯაშუშები, მსაჯული, ჟანდარმი, საპყრობილეს მცველი და სხვანი ყოველთვის ყოველთვის ყოვლად ზნეობრივად გათახსირებული ადამიანები, მაშინ როდესაც შურის მაძიებელი ყოვლად პატიოსანი და ზნეობრივი ქმნილება შეიძლება რომ იყოს, და სხვ.

შემდეგ, როდესაც თემობრივი ორგანიზაცია დაინგრა და მისი ადგილი დაიკავა სოფლის თემმა, სოფლის კომმუნამ, ინდივიდუალური კონფლიქტების გადაწყვეტის წესი გაუმჯობესებულ იქმნა. შურის ძიების ადგილი სამედიატორო სამართალმა, ნაზარალევის ნაზღაურობამ დაიჭირა,—და ეს დაწესებულება, ეს ჩვეულება გაცილებით უფრო ჰუმანიური იყო ძველ ბარბაროსულ შურის ძიებაზედაც, და მეტადრე შემდეგ წარმოშობილ კანონზედა და სამსჯავროზედაც უფრო საზოგადოებრიობის თანახმა მოვლენა.

მას თავისი აზრი, ღრმა აზრი ჰქონდა:

თუ ერთი წევრი საზოგადოებისა მეორეს აზარალებდა, ეს იმას ნიშნავდა, რომ მან დააკლო ერთ ინდივიდს საზოგადოებაში ძალ-მომრეობით მისი საკუთარი საშუალება ცხოვრებისა,—საშუალება რომელიმე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისა. თუ ერთმა მეორე მოჰკლა,—ეს ნიშნავდა ინდივიდთა ერთი გრუპიდან საწარმოო ენერგიის გამოკლებას მეორის მიერ, და ისე, როგორც შურის ძიების დროს, ექვილიბრიუმის აღდგინებას სცდილობდა მაშინდელი საზოგადოებრივობა ზარალის ნაზღაურობით, ან მოკლული ადამიანის შეფასებით დაზარალებულის სასარგებლოდ, ამისდა მიხედვით, თუ როგორი იყო განწყობილება ინდივიდთა ჯგუფებისა, როგორი იყო საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება. სამედიატორო სამართალი კი დღევანდელ კანონთან შედარებით მართლაც და რაციონალური რამ იყო, რადგანაც **ყოველი კერძო შემთხვევის დროს, ყოველი ცალკე კონფლიქტის გადასაწყვეტად** იკრიბებოდა სამსჯავრო საქმის მცოდნეთა და ნაცნობთაგან, და მათი მიზანი ადამიანის დასჯა კი არ იყო, არამედ **მორიგება მოდავეთა**, ზარალის აღდგენა საზღაურით, აღდგენა ერთი წუთით დარღვეულ თანასწორობისა. ამიტომაც იყო, რომ მხოლოდ თავისუფალ სოფლის კომმუნაში, და შემდეგ თავისუფალ ქალაქებში იყო შესაძლებელი ამგვარი სამედიატორო დაწესებულებანი, ყოველი კერძო შემთხვევისათვის, ყოველ უბანში და ხან ყოველ ყოველ ქუჩაშიაც, საქმის გარჩევა ამხანაგური და მოსარიგებლად მიმართული,—რადგანაც ნამდვილი წარმოდგენა სამართალზედ იქ შეიძლება, სადაც თანასწორობა და ამხანაგობაა, იქ კი, სადაც ერთი ჯგუფი ადამიანთა მეორეს იმონებს,—დიდი გიგანტი მოაზრეც ვერ გამოირკვევს და გაითვალისწინებს სამართალს, როგორც მაგალითად არისტოტელმა ვერ გაითვალისწინა იგი და მონობას ამართლებდა სამართლის სახელით,—როგორც თანამედროვე ფილოსოფოსები და მორალისტები იმტვრევენ თავს და ვერ გაუკვლევიათ, რა ამის სამართალი.

ეს უკანასკნელი სულ უბრალო რამ არის, თუ მისს საფუძვლად დავსახავთ თანასწორობას, ე. ი. თუ ინდივიდები თანასწორ პირობებში ვითარდებიან საზოგადოებაში, რომელიც სცდილობს საერთო ძალით დააკმაყოფილოს მოთხოვნილებანი ყოველივე ინდივიდისა. თუ საზოგადოების პრინციპი ინდივიდუალურ ძალთა ეკონომიაა, ე. ი.—მინიმუმი ინდივიდუალურ ძალთა ხარჯვისა და მაქსიმუმი მის მოთხოვნილებათ დააკმაყოფილებისა, რომელიც განხორციელდება მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ინდივიდუალურ ძალთა კოორდინაციით,—როდესაც მაქსიმუმი ინდივიდუალურ ძალთა მხოლოდ გარეგან ბუნებასთან ბრძოლაზედ იხარჯება, და არ იფლანგება თვით საზოგადოების შიგნით ბრძოლაზედ, ინდივიდთა შორის ურთი-ერთის წინააღმდეგ ბრძოლაში,—მაშინ **სამართალი** წარმოგვიდგება როგორც **სურვილი** ცდა, და **თვისება ყოველი ინდივიდისა არ გაფლანგოს არავითარ შემთხვევაში არც თავისი ენერგია, არც საზოგადოების სხვა წევრთა ენერგია, არ დაარღვიოს ზემოხსენებული პრინციპი საზოგადოებრივობისა, არამედ განავითაროს იგი და გააუმჯობესოს ის წრე, სადაც მოქმედებენ შეერთებული ინდივიდუალური ენერგიანი,—მაშინ სამართალი წარმოგვიდგება აგრეთვე როგორც ფუნქცია საზოგადოებრივობისა, რომელიც იცვლება იმის და მიხედვით, თუ როგორ იცვლება თვით საზოგადოებრივობა სხვა და სხვა ძალთა გავლენით** ინდივიდი მთელი თავისი მოთხოვნილებებით,—აი რა არის პირველი, მარტივი ელემენტი საზოგადოებისა; ინდივიდი და ათასნაირი განწყობილებანი გაანსაზღვრულ საზოგადოებაში მყოფ ინდივიდთა შორის,—აი რა უნდა იკვლიოს სოციოლოგმა, მორალისტმა და ფილოსოფოსმა, რომელთაც უნდათ მართლა განსაზღვრონ ცნებანი;—ინდივიდი და მისი მოთხოვნილებანი, რომელნიც მუდამ იცვლებიან, რამდენადაც ინდივიდი წარმოადგენს მისი და გარემოცულ ენერგიის თავისუფალ თამაშს,—ინდივიდი და მისი მოთხოვნილებანი, აუცილებლობა მისი ცხოვრებისა და აუცილებელი წესი მისგან შემუშავებული საზოგადოებრივი ცხოვრებისა,—ინდივიდი, როგორც ფუნქცია ყველა იმ ცვალებად ოდნობათა, რომელთაგან ეს ფუნქციაა დამოკიდებული, გზა ამ განვლილ ცვლილებათა, წესი ამ მსვლელობისა და სხვა—აი რა არის საგანი სოციოლოგიისა, აი როგორ უნდა დაისვას სოციოლოგიური კითხვები,—რომ სხვათა შორის მრავალი, უბრალო პირველი შეხედვით, მაგრამ რთული—ანალიზის შემდეგ,—ცნებანი გამორკვეულ იქმნან, როგორც, მაგალითად სამართლიანობა, თავისუფლება და სხვ. ბევრი თანამედროვე სოციოლოგი კი, იმის მაგიერ რომ ცოცხალ არსებულ ოდნობაზედ დაიწყოს ოპერაცია,—ინდივიდზედ,—პირდაპირ იწყებს საზოგადოებით, ე. ი. თვით ინდივიდთა შორის განწყობილებით. ეს იმასა ჰგავს, ასტრონომმა რომ მზის სისტემაზედ დაიწყოს მსჯელობა ისე, რომ არც მზე, არც პლანეტები, არც მათი განწყობილება არა იცნეს!—საერთო ინტერესი, საზოგადოება და მისი ინტერესები, უმრავლესობა და უმცირესობა წინააღმდეგობა საზოგადოებისა და ინდივიდისა, და სხვ.—აი როგორ ოდნობებზედ იწყებენ იგინი ოპერაციებს თავდაპირველად; ეს არის მათი გამოსავალი წერტილი. და იციან რას უდრის ყოველივე ეს? არა, ისინი გვეუბნებიან, ამას ვეძებთო მაგრამ თუ ეძებენ, მაშ რათ ხმარობენ ამ ცნებათ, როგორც მათ მსჯელობათა გამოსავალ წერტილს, რად იწყებენ სწორედ ამ ცნებებით ყოველივე ანალიზს? ესენი ხომ მთელი ურთულესი ცნობანი არიან, მაშასადამე თანასწორობანი მრავალი გამოურკვეველი ოდნობით. და რას იტყოდით მათემატიკოსზედ, რომელიც დასწერდა მრავალ ამგვარ თანასწორობათა ისე, რომ ეს თანასწორობანი არ იქმნებოდენ შედგენილნი თავისი აუცილებელი ელემენტებისაგან, ისე რომ არ დასჭირდებოდა არავითარი წინასწარი მსჯელობა, ისე, რომ მარტივ ელემენტთა შედარების შედეგი არ იქმნებოდა მთელი თანასწორობა, ეს რთული თანასწორობა. შემდეგ კი ეს მათემატიკოსი დაიდებდა წინ ამ თანასწორობათა და და დაიწყებდა მათზედ ოპერაციას... რის [illegible]ლად?—დიახ. ეს უაბსურდესი რამ არის. მათემატიკაში ეს არ შეიძლება, რადგანც ყოველივე თანასწორობა შედეგია წინასწარ მსჯელობისა, მარტივ ოდნობათა ურთიერთის ყოველმხრივ შედარებათა. მაგრამ სოციოლოგია მათემატიკასავით არ არის განვითარებული. მასში ყოველივე ნებადართულია, და ძლიერ ბევრმა სოციოლოგმა გვასწავლა როგორ არ უნდა დაისვას კითხვები. როდესაც აბსურდულად, შეუძლებლად, ისმის კითხვები, ფორმალის ლოღიკაც რომ იხმაროთ, მაინც აბსურდული, შეუძლებელი შედეგები მოჰყვება თქვენს მსვლელობას.

რა აქვს კანონს ყოველივე ზემოხსენებულთან საერთო, კანონს, რომელსაც თავის დღეში არა ჰგონია მიზნად არც მორიგება მაჩხუბართა, არც აღდგენა დარღვეული საზოგადოებრივი პრინციპისა, არც სამართალი, არც დაცვა თანასწორობის. წინააღმდეგ იგი ფუნქციით სახელმწიფოსი, კანონმდებლობისა, სამსჯავროისა, რომელნიც წარმოსდგენ ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ მეორეს დამონებით, თანასწორობის, საზოგადოებრივი პრინციპის სწორედ დარღვევით. თანამედროვე კანონი ნაყოფია ძველ საურთი-ერთო დახმარების დაწესებულებათა დანგრევისა, როდესაც სახელმწიფო სამედიატორო სამართალსა ძველ სოფლისა და ქალაქის კომმუნებში, გილდიებსა და ძმობებს მოუსვენარ, მეამბოხე ელემენტთა სთვლიდა; კანონი შედეგია ხმლისა, რომის მონური უფლებისა და ინკვიზიციის ჯვრის კავშირისა, მოვლენილი მხოლოდ ადამიანის **დასჯისათვის**, მხოლოდ **იმიტომ** რომ ასე სწერია იმავე **კანონში** კანონის ესენტია „დერჟიმორდიზმია". და ეს დერჟიმორდული ფილოსოფია უფლებისა მოდის და გვეუბნება—კანონი ინდივიდუალური კონფლიქტთა გადასაწყვეტად უნდა არსებობდეს საზოგადოებაშიო. მაშინ როდესაც სწორედ კანონია წყარო ყოველგვარ „ინდივიდუალური" კონფლიქტებისა... ხალხისა და კანონმდებლის შორის, „დამნაშავისა" და პოლიცია—ჯაშუშ—მსაჯულის შორის, პლევესა და საზონოვის შორის, ანჯიოლილოსა და კანოვასის შორის, ტიერსა და კომმუნის შორის,*) და ასე დაუსრულებლივ, მას შემდეგ რაც კანონმა ინკვიზიციის ჯვარი და მანთი აიღო ერთ ხელში, რომის უფლების რვეული ტანზედ დაიკრა და მახვილით მეორე ხელში შავი ყორანივით დააჯდა საზოგადოებას გულზედ და საზიზღარი ყრანტალით უწამლავს ყურთა—სმენას.

რამდენიც კანონია, სწორედ იმდენია წყარო ინდივიდუალურ კონფლიქტებისა. მოისპობა კანონი,—მოისპობა ათასნაირი ინდივიდუალური კონფლიქტებიც. არამც თუ მათი გადაწყვეტა შეუძლებელი იქმნება უკანონოდ.

(გაგრძელება მე-IV თავისა იქმნება).

Baton

## მარქსის მატერიალისტური დიალექტიკა და ისტორიზმი.

§ 15 როგორც ზევით ვთქვით (§ 1) მარქსი და ენგელსი ორივე ძლიერ აფასებენ გეგელის დიალექტიკას როგორც მეთოდს, მაგრამ არ მოსწონთ გეგელისებური მოხმარება ამ დიალექტიკის. მარქსი და ენგელსი უმთავრესად გერმანელი ფი-

*) მკითხველო, უცნაურად ხომ არ გეჩვენება რომ ხალხი, კანონმდებელი, დამნაშავე და მსაჯული, ანჯიოლილო, საზონოვი, ტიერი და კომმუნა არეულია ერთად. დაუკვირდი კარგად, ეს არევ დარევა არ არის. ეს სხვა და სხვა ფერი გამოხატულებაა „ინდივიდუალურ კონფლიქტთა".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოსოფოსები არიან, და ამიტომ დაინახეს რა, რომ ეს ფილოსოფია გეგელის ხელში „თავზე“ დაიარებოდა (§ 6) მოინდომეს ფეხზე დაყენება იმით, რომ გეგელის იდეის ალაგას მატერია მოათავსეს, ჰეგელის დიალექტიკა და მონიზმი კი შეინახეს—პირველი თავის ვითომ რევოლიუციონერობისთვის, —მეორე კი ვითომ თავის ჭეშმარიტობისთვის; მატერიალიზმი დიალექტიკაში ჩამოასხეს—გეგელის მონიზმში კი ეკონომიურ მონიზმად და ამნაირად შეასრულეს მოხერხებული და ახლად მოვლინებული კაპიტალისტის ოპერაცია, რომელმაც მისცა მათ საშუალება ესარგებლნათ ჰეგელის კოტრობის ნაშთებით. გეგელის შეგირდი ფეიერბახი იყო, ფეირბახის—მარქსი; გეგელის უარის ყოფა ფეიერბახი იყო, ფეიერბახის—მარქსი; გეგელი იდეალისტური მონისტი და პანტეისტი იყო—ფეიერბახი გუმანისტური და მარქსი სოციალისტური პანტეისტი; ღმერთი ღმერთი იყო, შემდეგ კაცი გაღმერთდა და ბოლოს მარქსმა პროლეტარიატი გაღმერთა (გავიხსენოთ პროლეტარიატის **გეგემონია**). ენგელსის სიტყვით (თხზულება ფეიერბახზე) ჰეგელის დიალექტიკა აბსოლიუტური იდეის განვითარება არის, ისეთი იდეის, რომელიც, კაცმა არ იცის, რომელი კარებიდგან ესტუმრა ამ ქვეყანას; მან და მარქსმა ჰეგელის იდეოლოგია მიატოვეს და მის ადგილზე დაამყარეს დიალექტიკური მატერიალიზმი. (ეს უკანასკნელი მცნება ძლიერ ჰგავს ხის სარკეს ან რკინის მცენარეს) და დიალექტიკური პსიხოლოგია. ჩვენი თავების წარმოდგენა ჩვენ ისევ მატერიალისტურად გვეჩვენებაო. ჩვენი სიტყვით რომ ვთქვათ, გამოდის, რომ შეგნებათა დიალექტიკა არის ცნიერი წარმოდგენა რეალურ მოვლენების სობიექტიურ მოძრაობის უკულმართობის, დიალექტიკისა. მარქსის ღვაწლი ენგელსის სიტყვით შედგება იმაში, რომ მან გაანთავისუფლა სალი გული ჰეგელის იდეალისტურ ნაჭუჭისაგან. მისივე აზრით არ კმარა მარტო ფრაზეოლოგია დიალექტიკისა, არამედ საჭიროა ვიხმაროთ და გავატაროთ დიალექტიკა ცოდნის ყველა პროვინციებში: ამნაირი ხმარებისაგან გამოვა ის, რომ მეცნიერებისათვის არ არსებობს არც აბსოლიუტური ჭეშმარიტება და არც შეცდომა, არც მართალი და არც სიცრუე, მაშასადამე ჩვენი აზრით და დამატებით არც ერთი და იგივეობა ანუ ერთობა, არც უკულმართობა (противорѣчіе), რომ ყველა უკულმართობა, რომლებიც ბევრ მეტაფიზიკას სწამდა, შედარებითია. ყველაფერი ეს მართალი იქნებოდა, შემცდარი რომ არ ყოფილიყო და ასე ვამბობთ ჩვენ იმიტომ, რომ მარქსს და ენგელსს ერთი რამე დაავიწყდათ, ის, რომ თვით შედარებითობა (ОТНОСИТЕЛЬНОСТЬ) შედარებითია, ვინაიდან აბსოლიუტური შედარებითობა იქმნებოდა არსებულის არ არსებობა, რაც შესაძლებელია მხოლოდ დიალექტიკურად, ეს ერთი მხრით—მეორე მხრით კი შედარებითობა. შედარებითი თუ არსებობს, თორემ არა თუ არც შედარებითობის შეგნება, არამედ მისი წარმოდგენაც კი შესაძლებელი არ იქნებოდა, ვინაიდგან ამ შემთხვევაში შედარებითობა აღარ იქმნებოდა შედარება, რომლისთვინ მიუცილებლად ორი ან მეტი რამე არის საჭირო, როგორც სუბიექტი და ობიექტი, ესე იგი, შედარებითობა დარჩებოდა ამ შემთხვევაში თავის თავის გარეშე, თავის პირობების გარეშე.

§ 16. ცხადია, რომ შედარებითობის პრინციპი ყველაფერი არ არის და თავისი პირობები აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში ან ღმერთი იქნებოდა ან ფეტიში (შეადარეთ მარქსის ეკონომიურ ურთიერთობას, სოციალურ ურთიერთობას, საწარმოო ურთიერთობას და სხვა). არა თუ ფრაზეოლოგია არ არის საკმარისი, არამედ არც გადაცემა სხვისგან შედარებითობის ანუ ურთიერთობის (ОТНОСИТЕЛЬНОСТИ) პრინციპის და მუდმივი გამეორება იმის, რომ ყველა წარმოდგენა შედარებითია. საჭიროა აგრეთვე იმის გამორკვევა, რა ნაირად სწარმოებს ეს შედარება და ურთიერთობა. შედარებითობის ანუ ურთიერთობითობის პრინციპის დიდი ადვოკატები არიან არისტოტელი, კანტი, ავგუსტ კონტი და გ. სპენსერი. კანტის აზრით, „ჩვენი შეგნება წარმოშობილია ობიექტის და სუბიექტის საურთიერთო მოქმედებით“ (ლანგე). შემდეგ კანტის გონებრივი სალაროს „ნასლედნიკებმა“ არ იკმარეს ურთიერთობითი, შედარებითი პრინციპი; შექნეს დიალექტიკა და ამ ინსტრუმენტით დაამყარეს ერთობა, ერთ და იგივეობა ობიექტის და სუბიექტის. სპენსერის აზრით შედარებითობა უაბსოლიუტოთ არ წარმოიდგინება. რადგან გეგელის ფილოსოფია კანტის ფილოსოფიის მოთავებაა, ამიტომ ისევ კანტს დავუბრუნდებით და როდესაც შემთხვევა გვექნება, სპენსერზე მაშინ ვილაპარაკებთ. კანტის აზრით, ერთობა არსებობს მხოლოდ ცდაში, როგორც სჩანს აქიდგან, დიალექტიკის ბაცილები კონტსაც აქვს და აგრეთვე იმ ახალ ფილოსოფიას, რომელსაც ემპირიო მონიზმს ეძახიან; მისი აზრით ცდა არც წმინდა არსია და არც წმინდა აზრია. ცხადია, რომ მაშინ, როდესაც გეგელის და მარქსის მონიზმი ნაყოფია დიალექტიკურ პროცესისა, კანტის მონიზმი ნაყოფია ზოგი ფორმალურ ლოგიკის და ზოგიც დიალექტიკის, სპენსერის მონიზმი კი ევოლიუციონისტური მონიზმია ინდუკტიურ—დედუკტიურ მეთოდის საშვალებით. მართალია, რომ ყველაფერი შედარებითია, მართალია ისიც, რომ აზროვნება, წარმოდგენა შედარებითი და ურთიერთობითია, მაგრამ მართალია ამასთანავე ისიც, რომ წარმოდგენა, აზროვნება და ერთი სიტყვით ყველა პსიხიური აქტი განისაზღვრები ობიექტით და სუბიექტით როგორც თავისი პირობებით, აგრეთვე მათივე სუბსტანციალურ და ფორმალურ განსხვავებით და არა წინააღმდეგობით დროში და სივრცეში. თუ ვიქონიებთ სახეში ამ პირობებს ურთიერთობისას, მაშინ ველარ ვიტყვით, რომ ერთი და იგივე აზრი, წარმოდგენა ერთ და იმავე დროს ერთ და იმავე ადგილას ჭეშმარიტებაც არისო და შეცდომაცო—წალმართიც და უკულმართიცაო; რომ ერთი მოძრაობა ერთი და იმავე დროს და ადგილას დადებითაც არის და უარყოფითიცო; რომ მოძრაობა არის ის, რაც არის და ისიც, რაც არ არისო. რადგან ჩვენდა უნებურად შევტოპეთ დიალექტიკურ ტყეში, ბარემ ნულარ დაიზარებს მკითხველი და მიაქციოს ყურადღება დიალექტიკას, როგორც მოვლენების ხიფათურს და არა ევოლიუციონურ განვითარებას. ავიღოთ მექანიკური მაგალითი: მოძრაობა სწარმოებს სივრცეში A და B შუა. საგანმა, რომელიც მოძრაობს A დგან B მდი, უნდა გაიაროს ყველა წერტილები, რომლებიც A და B შუაა; ამ გზის გავლისთვის მოძრავ საგანს სჭირია დრო და, რადგან საჭიროა ყველა წერტილში გავლა, მაშასადამე ყველა წერტილში უნდა დარჩეს რამოდენიმე დრო, ყველა ამიდგან გამოდის, რომ საგანი ერთ და იმავე დროს, როგორც სჩანს, მოძრაობს კიდეც და არც მოძრაობს. ბიოლოგიური მაგალითი: ადამიანი წარმოიშობა, შემდეგ ვითარდება, ბოლოს კვდება და ამიტომ რომ დავასკვნათ, მაშასადამე ადამიანი ერთ და იმავე დროს ცოცხალიც არის და მკვდარიცო, რადგან შეიცავს სიკვდილი შესაძლებლობას თავის სიცოცხლეშიო, მაშინ. ამ ნაირი მაშასადამე სრულებით უადგილო იქნებოდა და ამ ნაირი რადგან მეტაფიზიკური, იმიტომ რომ სიცოცხლე და სიკვდილი ერთი მეორეს საზღვრავენ და მაშასადამე ერთი მეორეს გარეშე იმყოფებიან. მექანიკური მაგალითი: ხომალდზე, რომელიც მო-

ძრაობს ზღვაში, გაჩერებულია ხომალდის უფროსი; შეგვიძლია თუ არა ვთქვათ, რომ ხომალდის უფროსი გაჩერებულიც არის და მოძრაობს კიდეც ერთ და იმავე დროს და ერთ და იმავე ადგილას? რასაკვირველია, არ შეგვიძლია, რადგან შედარებით ზღვასთან (ერთი საგანი) მოძრაობს, შედარებით ხომალდთან კი (მეორე საგანი) გაჩერებულია; როგორც ზოოლოგიურ მაგალითში ისე ამ მექანიკურ მაგალითშიც ორი ურთიერთობა არის, რომელთა შორის არავითარი ერთობის ან წინააღმდეგობის დამყარება არ შეიძლება; ორივე ურთიერთობა სივრცეში განსხვავებულები არიან, რადგან ერთი სუბიექტია და ორი ობიექტია. ერთი საგანი სხვა და სხვა დროში იგივე აღარ არის, ერთი საგანი სხვა და სხვა სივრცეში იგივე აღარ არის. ნივთიერ ქვეყანაში ერთ და იგივეობა ან ერთობა (ТОЖДЕСТВО) არ არსებობს, რადგან სხვა და სხვა ადგილზე სხვა და სხვა ძალები მოქმედებს; (ეს არის ავტონომიური და ფედერალური პრინციპი სამყარის ურთიერთობათა), რადგან ყველაფერი ბუნებაში და ყველა ნაწილი ნივთიერების სხვა და სხვა ადგილას არის, ამიტომ ნივთიერების ამ ნაირად სივრცეში განსხვავებულ ნაწილებზე მოქმედებენ სხვა და სხვა ძალები. პსიხოლოგიური მაგალითი: არ შეიძლება ერთ და იმავე პირს ერთ და იმავე დროს უყვარდეს და სძულდეს ერთი და იგივე პირი, რადგან აქაც ურთიერთობის გამსაზღვრელი ორივე წევრი სუბიექტი და ობიექტიც ერთი და იგივე რჩებიან, ურთიერთობა-კი რჩება უცვლელი მიუხედავად იმისა, რომ უნდა იცვლებოდეს ან სუბიექტის ან ობიექტის ან ორივეის ცვლასთან ერთად. მათემათ. მაგალ.: a და B ცვლილებად X-ის საზღვრები არიან; X თავის ცვალებადობაში მოძრაობს a და B შუა, ამიტომ X უნდა იცვლებოდეს ან მატებით ან კლებით; ორივე შემთხვევაში უნდა მიაღწიოს მაქსიმუმს მატებისას ან კლებისას, თუ ცვლამატებით მიდიოდა, დაიწყებს კლებას და თუ კლებით მიდიოდა, დაიწყებს მატებას, ერთის განვითარება შეჩერდება და მეორესი-კი დაიწყება; მატების კლებად გადაქცევა ან კლების მატებათ გადაქცევა შედეგია იმის, რომ ცვალებადობა მოქცეულია ორ საზღვრებში და ამიტომ შედარებით â-სთან ცვლა თუ მატებითია, მაშინ შედარებით B-სთან კლებითია, მაშასადამე აქაც როგორც სხვა მაგალითებში ობიექტების სხვადასხვაობა გამოიწვევს ურთიერთობის სხვადასხვაობას ისე, რომ დამყარება ერთობის ამ ორ ურთიერთობათა შორის ერთ და იმავე დროს და ადგილას ყოვლად შეუძლებელია. თქმულის შემდეგ ჩვენთვის, რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელია ის აზრი, რომლითაც ორი უკუღმართი და ერთი მეორეს წინააღმდეგი რამეები თავსდებიან ერთ და იმავე დროში და სივრცეში, აგრეთვე ისიც, რომ ერთი რამე შეიცავდეს ორ უკუღმართ და წინააღმდეგ რამეს ერთ დროს და სივრცეში.

§ 17. ჰეგელისთვის რომ შესაძლებელი იყო ცხადია, მაგრამ შესაძლებელია ეს აგრეთვე მარქსის და ენგელსისთვის, რასაც ამტკიცებს მათი სოციალურ და სხვა ურთიერთობათა მაგალითები. გადავიდეთ ეხლა მათ სოციალურ მაგალითებზე. მარქსის მაგალითი („ფილოსოფიის სიღატაკე“): თეზისი: ფეოდალური მონოპოლია; ანტითეზისი: კონკურენცია; სინთეზისი: თანამედროვე კაპიტალისტური მონოპოლია. კონკურენცია უარისყოფაა ფეოდალურ მონოპოლიისა და კაპიტალისტური მონოპოლია კი ამ უარის ყოფის უარისყოფაა. ამასთანავე, რადგან თანამედროვე მონოპოლია კონკურენციის უარისყოფაა და კონკურენცია კი თავის დროზე ფეოდალურ მონოპოლიის უარისყოფაა, ამიტომ თანამედროვე მონოპოლია არის არა მარტო უარის ყოფის უარის ყოფა, არამედ ფეოდალურ მონოპოლიის უარისყოფაც.

ქ. ქ. რუსოდან ენგელსის მაგალითი: თეზისი: პირველყოფილი თანასწორობა; ანტითეზისი: უთანასწორობა; სინთეზისი: მომავალი უმაღლესი თანასწორობა („ანტი-დიურინგი“). ენგელსის მაგალითი: თეზისი: პირველყოფილი კომმუნიზმი; ანტითეზისი: კერძო საკუთრება; სინთეზისი: მომავალი კომმუნიზმი.

ამ მაგალითებიდან ცხადად სჩანს, როგორ დაქვემდებარებულია სოციალური ევოლიუცია გეგელის „სამებისაგან“ და გეგელისავე „ერთარსებისაგან“ (უმაღლესი ერთობა, მონიზმი). რანაირად ხერხდება, რომ თვითეული პირი ამ სამპიროვან განვითარებისა გადაიქცევა თავის წინააღმდეგად? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთ უცვლელ პასუხს მივიღებთ. რადგან თვითეული ხანა თავის დროზე შეიცავს ორ უკუღმართ მხარეს და განვითარდება დიალექტიკურად, ამიტომ არაა საკვირველი, რომ ამნაირი ფენომენალური იანუსი უარყოფითობიდან დადებითი გადაიქცეს და ამ უკანასკნელიდან ისევ დადებითი. ამის თაობაზე ჩვენ უკვე გვქონდა მსჯელობა (§ 15, 16). გადავიდეთ სხვა მაგალითზე.

D-r Delendi

## მეტ-ფასი და უტოპიზმი

### V

მარქსის-მიერ ცნობილმა მეორე „უტოპისტმა“ ვ. ტომსონმა თავის თხუზულებაში: Social science, Inquiry, etc. (1824) საოცრათ ახსნა მეტ-ფასი (ინგლისურად surplus) დაადგენს რა, რომ „სიმდიდრე შექმნილია მუშის შრომისაგან“ (გვ. 3—4), ის ჰკითხულობს: მაშასადამე მაშინ რატომ არ ფლობს მუშა სრულად მთელ ნაწარმოებს უკლებლივ (გვ. 32)?

— იმიტომ გვიპასუხებს ის, რომ „რენტის“, სარგებლის და სხვა სახით ართმევენ თავის „ნამატს“ (surplus). შემდეგ ამისა ის სვამს კითხვას:

„ნებითია მიჩნეული, თუ ძალით არის დავალებული?— მხეცური ძალა იყო ხმარებული, გვიპასუხებს ის, ყოველთვის, როდესაც საჭირო იყო წაერთმიათ ლატაკებისთვის მათი შრომის ნაყოფი, მთელი ისტორია გვიმტკიცებს ამ ჭეშმარიტებას; ათას ფურცლებს გაავსებდა კაცი ამგვარ მაგალითებით... თუ მივიჩნევთ შრომის ნაწარმოების ნაწილის (surplus) დაკავებას მწარმოებლის სურვილის წინააღმდეგ... მაშინ გუნება არ დაუშლის კაცს დააკავოს სხვა ნაწილებიც, რომელიც უნდა იყოს (გვ. 34—35)“. „ძალის მოუხმარებლად არ შეიძლება მონოპოლიის არსებობა“ (გვ. 106). „მანამ, სანამ კაპიტალიზმი იქმნება, საზოგადოება დარჩება თავის ავადმყოფურ მდგომარეობაში (გვ. 449)“. თავის თხუზულებაში: **დაჯილდოვებული შრომა** (1826), ჩამოთვლის სხვა და სხვა რეფორმებს და ამბობს, რომ ყველა ესენი პალიატივები არიან, პალიატივად სთვლის აგრეთვე მუშების დაზღვევას და პენსიას; ის კი არა, მის თვალში არც ტრედ-უნიონიზმი არის სოციალურ კითხვის გადაწყვეტა. როგორც მოწაფე ოვენის, ის ქადაგობს ავტონომიურ კომმუნიზმს.

„თავისუფალი შრომა, განუსაზღვრელი მოხმარება თავისი შრომის ნაყოფის და ნებიერი გაცვლა-გამოცვლა“, აი როგორია ტომსონის სხოლიო 253 გვერდზე.

1845 **მეტ-ფასის** აღმოჩენა, იმ მეტ-ფასის, რომელიც ტომსონმა ასე მკაფიოთ გამოთქვა 1824, არ იყო ასე ძლიერ ძნელი საქმე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ტომსონის თხუზულება ცნობილი იყო, რაც სჩანს მარქსის ციტატიდან მის **კაპიტალში**. ამნაირად, მე ვკისრულობ აღმოვაჩინო გრა-

ვიტაციის კანონი (ЗАКОНЪ ТЯГОТѢНІЯ) ან პერიოდიული კანონი ქიმიაში, ან სითბოს მექანიკური ექვივალენტი. ყოველთვინ ამის შემდეგ მივბაძავ მარქსსა და ენგელსს და გამოვაცხადებ ჩემ უფლებას მსოფლიო დიქტატურაზე.. მხოლოდ იმ პირობით, რომ შარკო ან მოუდსლეი ნუ მიმიწვევენ ჩემი დიქტატურის საპრაქტიკოთ შარანტონში ან ბედლამში!

უკანასკნელად უნდა მოვიყვანოთ პრუდონის აზრი, იმ პრიდონის, რომელიც მარქსის და მის ძლიერ მეცნიერ მოწაფეების მიერ მოხსენებულია, როგორც უვიცი სოფისტი. მით უარესი მარქსისთვის, თუ ამ **„უვიცმა“** 1845 თავის ჩვეულებრივი გულდიობით, გამოსთქვა ფორმულა „ზედმეტის“ ან ნავარმოების მეტ-ფასის. **ეკონომიურ უკულმართობაში** ჩვენ კ ითხულობთ:

„ადამ სმიტის შემდეგ ჩვენ ვთქვით, რომ ეკონომიურ მეცნიერებაში ყველა ღირებულებათა შედარებაში მხედველობის წერტილი არის შრომა (გვ. 86)... პოლიტიკო-ეკონომიური აზრით, ის პრინციპი, **რომლითაც ყველა შრომამ უნდა დატოვოს ზედმეტი**, არის მხოლოდ კურთხევა იმ კონსტიტუციონალურ უფლების, რომელიც ჩვენ დავიპყრეთ რევოლიუციით **მოყვასის გასაქურდავად**“ (გვ. 91).

პრუდონი მართალია, როდესაც ამბობს, რომ ურთიერთობათა საფუძველი მოყვასის გაქურდვის უფლება არის, რადგან ზედმეტი ღირებულება, მეტ-ფასი, შრომის ნამატი, ზედმეტი, merhwerth ერთ და იმავეს ნიშნავენ: ბურჟუაზიის მიერ შრომის ნაყოფის ღირებულობის მითვისებული ნაწილი. რა სახელიც უნდა დაათქვათ ღირებულების ამ ნაწილს, წყაროს კაპიტალისტურ მოგროვებისას, მისი მიმთვისებლობა ყოველთვის ნამდვილად ქურდობაა. მთელი სიბრძნე, მთელი კაპიტალიზმის ვითომ კანონები მოკლედ შემდეგნაირად გამოითქმება:

1, მუშის ძალა და სიმარდე რაც შეიძლება ფას დაკლებით იყიდოს;

შეიძლება ეს ორი თავი გრძელი და მოსაწყენი იყოს, მაგრამ, ვიმეორებ, ჩვენთვის, სავალდებულოა მივცეთ თავის თავს ანგარიში. ისეთ კაცების ეგრედწოდებულ მეცნიერობაში, რომლებიც მსოფლიო დიქტატურას ეპოტინებიან. ჩვენ ეხლა ვიცით, რა ღირებულების არის მეტ-ფასის აღმოჩენა. რაც შეეხება დიალექტიკურ მეთოდს, რომელსაც მშვენიერად ხმარობდენ სოფისტები სოკრატის დროს (იხილე პლატონის **გორგია**), ჩვენ სიამოვნებით გვჯერა, რომ მარქსი და ენგელსი ხმარობდენ ამ მეთოდს ყველა თავიანთ მეტაფიზიკურ სპეკულაციებში.

და სწორეთ იმიტომაც არის, რომ ამ მეთოდის ხმარების გამო იმათმა გამოკვლევებმა გამოიღო ნაყოფად უზარმაზარი შეცდომები, როგორც ამას დავინახავთ შემდეგიდან.

?, იყიდოს რაც შეიძლება ფას დაკლებით მწარმოებლიდგან ნაწარმოები.

ძლიერ ბევრი ხანია, რაც ხალხმა გაიგო ხასიათი ვაჭრობის და კაპიტალიზმის, რადგან ძველი საუკუნეების ბრძენმა ბერძნებმა ვაჭრობის მფარველად ამოირჩიეს ქურდების ღმერთი, მერკური.

## რუსეთის ცხოვრებიდან

**გომელი.** დაიჭირეს ბოროტ-განმზრახველი რევოლვერითა და ბომბებითა. მისი ჩვენებით იპოვნეს 2 ბომბა და ქიმიკური ნივთიერებანი. დაიჭირეს 4 კაცი.

— **დონის-როსტოვი.** შუაგულ ქალაქში 4 კაცმა **გაძარცვა** სათოფე მაღაზია. წაიღეს 15 ვინტოვკა მაუზერის სისტემისა.

— **სმოლენსკი.** პერმის გუბერ. 10 გლე[illegible]ნეს, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ბალტიის [illegible]ჯანყებაში.

— **მოძრაობა პოლიციელთა შორის.** პეტერბურგში შეგნებულ პოლიციელთა მოწოდება ძლიერ ვრცელდება თურმე პოლიციელთა შორის. ამ მოწოდებაში ნათქვამია რომ მთავრობა ჰყვლეფავს მათ, პარავს ფულს, თვითონ იმალება და მათ კი ტყვიასა და ყუმბარების წინააღმდეგ ჰგზავნის. ქალალდის შემდგენი იწვევენ პოლიციელებს არეულობის დროს საქმეში ნუ ჩაერევითო. საზოგადოდ დაბალ პოლიციელთა შორის დიდი უკმაყოფილებაა, რომ იმათ სახიფათო თანამდებობის ასრულება უხდებათ,

— **ლოძი.** 5 ფაბრიკამ შესწყვიტა მუშაობა. შეტაკება მოხდა პარტიებს შორის. მოჰკლეს 1 და დასჭრეს 10. ზვერჟიდან 50-მდე მუშა დაიძრა წითელ დროშებით ქუჩებისაკენ, მაგრამ დრაგუნები რომ დაინახეს, გაიფანტნენ.

## ადგილობრივი ქრონიკა

**ჩხრეკა.** სამშაბათს, 2 მაისს, საღამოს 5 საათიდან დაწყებული ელისაბედისა და მიხეილის ქუჩებზე პატრული აჩერებდა ელექტრონის ვაგონებს და საეჭვოდ მიჩნეულ ეტლებს; სჩხრეკდა სადგურზე მიმავალ-მომავალ მგზავრებს.

**„პატარა გაზეთი“.** „პატარა გაზეთი“, რომელიც ბ-ნ კ. მესხს ეკუთვნის, ბ-ნ მიხეილ დიასამიძის ხელში გადადის.

**მღ. ბრიხნიჩოვის გაგზავნა.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, ჟურნალ „ვსტან სპიაშჩის“ რედაქტორ-გამომცემელი მღ. იონა ბრიხნიჩოვს აეკრძალა ტფილისის და ბორჩალოს მაზრებში ცხოვრება და წინადადება მიეცა 7 დღის განმავლობაში ტფილისიდან გავიდეს. როგორც ვიცით, ჟურნალიც დაიკეტა.

**შეტაკება ყაზახებთან.** როგორც კავკავიდან გვატყობინებენ; სად. გულკევიჩში სდგას ყაზახთა რაზმი, რომელიც ვაგონში სცხოვრობს. 1 მაისს სოფ. გულკევიჩს წასულა ოთხი ყაზახი. იქ გლეხებთან ჩხუბი მოსვლიათ, თაუჭერიათ ოთხი გლეხი, წაუყვანიათ სადგურზედ და ვაგონში დაუმწყვდევიათ, ამის გამო შეგროვილან მთელი სოფლის გლეხები და მოუთხოვიათ დაპატიმრებულთა განთავისუფლება. ყაზახებს თოფები დაუშენიათ, მოუკლავთ ერთი და დაუჭრიათ ორი.

## „ნობათის“ ფოსტა

**ბ. ლეოშ—ძეს.** ვეცდებით. სინდიკალიზმის შესახებ ჩვენ ხშირად გვექნება ლაპარაკი. თან შეტყობილი გვაქვს, რომ ცალკე გამოცემებიც იქნება. ინტერნაციონალის შეახებ ცნობებს იპოვით იმ სტატიებში, რომელსაც ამ № ვიწყებთ.

**ბ. მიხეილ თურ—ს.** ჯერ-ჯერობით ჩვენი ლიტერატურა ღარიბია რუსულ ენაზე. გირჩევთ:

П. Кропоткинъ Рѣчи бунтовщика
Его-же — Завоеваніе хлѣба
Его-же — Взаимная помощь
Его же — промышленность фабрично-заводская и земледѣліе.

სამი პირველი წიგნი პეტერბურგში იყო გამოცემული, უკანასკნელი კი მოსკოვში.

თუ ზოგბა სამეცნიერო თხუზულებათა კითხვა შეგიძლიათ,—შეიძინეთ.

Е. Реклю. Земля и Чоловѣкъ.

გამოდის ეხლა ნაწილ-ნაწილად პეტერბურგში და სხვა.

**რედაქტორ-გამომცემელი დ. ერისთავი-მდივნისა**

ელექტრო-მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“. ტფილისი მიხეილის ქუჩა, 65.